# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 29 (2142) | შაბათი, 17 თებერვალი, 1996 წელი. | ფასი 30 თეთრი


## განიხილეს პროექტები კანონებისა, რომლებიც არეგულირებენ საბაზრო ურთიერთობის პრინციპებს

**15 თებერვალს გაიმართა საქართველოს მთავრობის გაფართოებული სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. ამჯერად დღის წესრიგი სულ სამი პუნქტისაგან შედგებოდა. და მაინც, პრეზიდენტმა თავიდანვე აღნიშნა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ განსახილველ საკითხებს, რომელთაგან ორი — საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტი და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონის პროექტი დაახასიათა როგორც უმნიშვნელოვანესი აქტები რესპუბლიკის პარლამენტის მიერ მიღებული კონსტიტუციის შემდეგ. ამიტომ სხდომაზე, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელების, სპეციალისტთა გარდა, მოწვეული იყვნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.**

პირველ საკითხზე — „საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" კანონის პროექტის თაობაზე სხდომაზე მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა. აღინიშნა, რომ ეს კანონპროექტი მუშავდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისიასთან ერთად და ჯერ კიდევ შარშან დაურიგდათ ყველა კომერციულ ბანკს, საბანკო ასოციაციებს, დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მისი საბოლოო ვარიანტის შემუშავებაში. ამავე მიზნით პროექტი გამოქვეყნდა პრესაში და განხილვაში ჩაებნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც. ერთი სიტყვით, მომავალი კანონი ყოველმხრივ იყო განხილული, რამაც მის ავტორებს შესაძლებლობა მისცა მნიშვნელოვნად დაეხვეწათ მისი ცალკეული დებულებები, შეეთანხმებინათ ისინი კომერციულ ბანკებთან. თუმცა, როგორც ნოდარ ჯავახიშვილმა აღნიშნა, ზოგიერთ საკითხზე მაინც ვერ მოხერხდა საერთო აზრის გამოტანა, კერძოდ, კვლავ სადავოა დებულება კომერციული ბანკების არასაბანკო სამეურნეო საქმიანობის შესახებ, აგრეთვე საბანკო ინფორმაციის კონფიდენციალობის საკითხი. მთლიანად კი, როგორც სხდომის მონაწილეთა გამოსვლებში ითქვა, კანონპროექტი მომზადებულია ჯეროვან დონეზე და მან შეიძლება შეავსოს არსებული სამართლებრივი ხარვეზი კომერციული ბანკების საქმიანობაში.

მთავრობამ მოიწონა წარმოდგენილი პროექტი და გადაწყვიტა იგი წარუდგინოს ქვეყნის პრეზიდენტს საკანონმდებლო ინიციატივის წესით რესპუბლიკის პარლამენტის განსახილველად შეტანისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სხდომაზე წარმოადგინა რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა თედო ნინიძემ. შეიძლება წარმოუდგენლად მოგვეჩვენოს, რომ ქართველ იურისტთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის სერგო ჯორბენაძის მეთაურობით შექმნა ეს ყოვლისმომცველი და ურთულესი დოკუმენტი სულ ოთხი წლის მანძილზე. როგორი უნდა ყოფილიყო მათი ენთუზიაზმი, რომ, უდიდესი სიძნელეების, მუშაობის ელემენტარული პირობების უქონლობის მიუხედავად, დაემუშავებინათ კოდექსის მრავალრიცხოვანი სტატია ისეთ დონეზე, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ავტორიტეტიანი საზღვარგარეთელი ექსპერტების აპრობაცია.

გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესახებ" კანონის პროექტი მოიწონეს ქვეყნის პრეზიდენტის მიერ რესპუბლიკის პარლამენტის განსახილველად შეტანისათვის.

მთავრობამ განიხილა საკითხი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონპროექტის თაობაზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მიწის პრობლემა ყველა ეპოქასა და დროში ყველაზე აქტუალურად ითვლებოდა. იუსტიციის მინისტრმა თედო ნინიძემ დამსწრეთ გააცნო დადგენილების პროექტი, რომელიც ზემოაღნიშნული კანონის ამოქმედებას ეხება. ამ პროექტით „საქართველოს მოქალაქეთა კანონიერ სარგებლობაში ახალი კანონის შესვლამდე არსებული საკარმიდამო, საბოსტნე, საბაღე და სააგარაკო მიწის ნაკვეთები გადაეცემა კერძო საკუთრებაში, ხოლო მოქალაქეებს, რომლებსაც დადგენილებით ეკუთვნით მიწის ნაკვეთი, მაგრამ იგი დადგენილი წესით არ მიუღიათ, მიწის ნაკვეთების საკუთრებაში უფასოდ გადაცემის ვადა გაუგრძელდებათ კანონის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში".

ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საკუთრებაში მიეცემათ საქართველოს მოქალაქეებს, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირებს და უცხო ქვეყნების მოქალაქეებს ეს მიწა შეიძლება მიეცეთ იჯარით.

ბატონ თედო ნინიძის განმარტებით, კანონპროექტი ხელს უწყობს მიწის რაციონალურ გამოყენებას და აგრარული სექტორის განვითარებას. მასში ჩამოყალიბებულია მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული ურთიერთობის განმსაზღვრელი ზოგადი დებულებები და კერძო-სამართლებრივი შეზღუდვები.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, საქართველოს პარლამენტის დასამტკიცებელ კანონთა შორის მიწის კანონი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და საკითხი განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. სწორედ ამ მიზნით უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც აღნიშნულ კანონპროექტს გააცნობს მოსახლეობას და გაითვალისწინებს შენიშვნებს. მიწის კანონის მიღება იქნება წინგადადგმული ნაბიჯი, რომელიც ხელს შეუწყობს ნორმალური საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

სხდომაზე გადაწყდა პროექტი გამოიტანონ რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო განხილვისათვის. გამოაქვეყნონ იგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და უზრუნველყონ მათი მიტანა რესპუბლიკის ყველა კუთხეში, რათა ნებისმიერ მოქალაქეს მიეცეს შესაძლებლობა გაეცნოს პროექტს და შეუხამოს იგი საკუთარ ინტერესებს.

**საქინფორმი.**

---

**აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი**

## ხელმოსაწერად მზად არის ოქმი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ

**მოსკოვი, 15 თებერვალი (ინტერფაქსი). ხელმოსაწერად მზად არის ოქმი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ, განაცხადა ხუთშაბათს მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე აფხაზეთის ხელმძღვანელმა ვლადისლავ არძინბამ.**

როგორც მან თქვა, ეს დოკუმენტი საბოლოოდ მომზადდა 30 იანვრიდან მოსკოვში მიმდინარე რუსეთ-აფხაზეთის კონსულტაციების დროს. ვ. არძინბამ აღნიშნა, რომ პირველად აფხაზეთის მხარემ განაცხადა, რომ მზად არის აშენოს ურთიერთობა საქართველოსთან ფედერაციულ საწყისებზე, რაც, მისი აზრით, „სოხუმის დიდი წინგადადგმული ნაბიჯია კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე".

აფხაზეთის ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მიერ შეთავაზებული ფედერაციული კავშირი არ არის „ფედერაცია კლასიკური ფორმით".

(დასასრული მე-8 გვ.).

## საქართველოს პოზიცია უცვლელია

**საქართველოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში აღნიშნავს, რომ ერთადერთი წინსვლაა აფხაზეთის ვითარების მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების პროცესში და მხარს უჭერს სამშვიდობო ძალების მანდატის შეცვლას**

**მოსკოვი, 15 თებერვალი (ინტერფაქსი). ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ზონაში განლაგებულ სამშვიდობო ძალების ნაწილებში მათი უმოქმედობის გამო შეიმჩნევა „გარკვეული ხრწნა". ასეთი განცხადება გააკეთა ხუთშაბათს მოსკოვში გამართულ ბრიფინგზე საქართველოს ელჩმა რუსეთის ფედერაციაში, აფხაზეთთან მოლაპარაკებაზე საქართველოს დელეგაციის მეთაურმა ვაჟა ლორთქიფანიძემ.**

შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის გზად მას ის მიაჩნია, რომ შეიცვალოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კოლექტიური სამშვიდობო ძალების მანდატი და მიენიჭოს მათ პოლიტიკური ფუნქციები.

(დასასრული მე-8 გვ.).

## პაველ გრაჩოვის აზრით

**თუ აფხაზეთისა და საქართველოს მხარეები უახლოეს ხანში ვერ შეთანხმდებიან კონფლიქტის მოწესრიგებაზე, რუსეთის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი აპირებს პრეზიდენტსა და ფედერაციის საბჭოს შესთავაზოს წინადადება აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ.**

**მოსკოვი, 15 თებერვალი. (იტარ-ტასის კორესპონდენტი მიხეილ შევცოვი). თუ აფხაზეთისა და საქართველოს მხარეები უახლოეს ხანში ვერ შეთანხმდებიან კონფლიქტის მოწესრიგებაზე, რუსეთის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი აპირებს პრეზიდენტსა და ფედერაციის საბჭოს შესთავაზოს წინადადება აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ. ეს რუსეთის სამხედრო უწყების მეთაურმა 15 თებერვალს განუცხადა ჟურნალისტებს სამხედრო დასასვენებელ სახლში „პოდმოსკოვიე", სადაც მონაწილეობდა რუსეთის შეიარაღებული ძალების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირების ფედერაციის მეორე ყრილობის მუშაობაში.**

(დასასრული მე-8 გვ.)

---

## აშენებს სრულიად საქართველო

**წმიდა სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა**



ღვთის სადიდებლად და ჩვენი ხალხის რწმენის ასაღორძინებლად თბილისში წმიდა სამების საკათედრო ტაძარი შენდება. ვისაც აქვს სურვილი და საშუალება მონაწილეობა მიიღოს ამ საშვილიშვილო საქმეში ვაცნობებთ საბანკო რეკვიზიტებს:

ეროვნული ვალუტის ანგარიში

მიმღები: საქართველოს საპატრიარქოს ბანკი „საეკლესიო ბანკი"
მიმღების: ბანკი „საქართველოს ეროვნული ბანკი"
ანგარიშის ნომერი: 800161756, მფო 526636
დანიშნულება: წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში

სავალუტო ანგარიში

მიმღები (ბენეფიციარი): საქართველოს საპატრიარქოს ბანკი „საეკლესიო ბანკი"
მიმღების (ბენეფიციარის) ბანკი „საქართველოს ეროვნული ბანკი"
ანგარიშის ნომერი: 800073556
დანიშნულება: წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში

დამატებითი ინფორმაციისათვის - ტელეფონები: 934599; 987471.
მისამართი: თბილისი, მეფე ერეკლე მეორის მოედანი №1, საქართველოს საპატრიარქოს შენობა, I სართული, „საეკლესიო ბანკი"

**წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდი**

### შემოწირულობანი გრძელდება

**წმინდა** სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა საერო საქმეა. ჩვენი გაზეთი სისტემატურად აქვეყნებს მშენებლობის ფონდის საბანკო რეკვიზიტებს. ახლა კი მათ გაგაცნობთ, ვინც ამ საშვილიშვილო საქმეში 10 თებერვლის შემდეგ შეიტანა წვლილი.

1) **მიხეილ შოშიაშვილი** — 100 ლარი,

2) **საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი** — 300 ლარი (ზუგდიდის აგრობანკი),

3) **ა/კ „ეარ ჯორჯია"** — 1000 ლარი,

4) **სააქციო საზოგადოება „მარკეტკრწანისი"** — 100 ლარი,

5) **შპს „საუნჯე"** — 50 ლარი,

6) **ეროვნული ბანკი** — 5000 ლარი.

ანგარიშის გახსნიდან დღემდე ბანკში შემოსულია **61704 ლარი და 3820 დოლარი.**

შემოწირულობანი გრძელდება.

რეპორტაჟი სამების ტაძრის მშენებლობიდან იხილეთ მე-4 გვ-ზე.

---

**მილება**

## უზბეკური ბამბა საქართველოზე გაივლის

**15 თებერვალს თბილისში ხელი მოაწერეს ოქმს საქართველოს ტერიტორიის გავლით უზბეკეთის ტვირთის ტრანზიტის შესახებ. ასეთია შედეგი ტრანსპორტელი ექსპერტების სპეციალური კომისიის ვიზიტისა, რომელიც შუა აზიის ამ რესპუბლიკის მთავრობის დავალებით სამი დღის განმავლობაში ქართველ პარტნიორებთან ერთად შეისწავლიდა საქართველოს ტერიტორიის გავლით უზბეკეთიდან და საპირისპირო მიმართულებით ტვირთის გადაზიდვის შესაძლებლობებს.**

ამ დოკუმენტის ხელმოწერამდე უზბეკეთის წარმომადგენლები საქართველოს საკოორდინაციო სატრანსპორტო საბჭოს ხელმძღვანელებთან ერთად მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. სტუმრებმა სახელმწიფოს მეთაურს გააცნეს გაწეული მუშაობა, რომლის შედეგადაც განისაზღვრა თანამშრომლობის კონკრეტული გზები. კერძოდ, მათ განაცხადეს, რომ შეისწავლეს საქართველოს რკინიგზით ტვირთის გატარების პოტენციური შესაძლებლობები, ფოთის საზღვაო ნავსადგურის მდგომარეობა და გამოიტანეს დასკვნა, რომ ამ სატრანსპორტო არტერიებით თავისუფლად შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ტვირთზიდვის ტრანზიტი დიდი მოცულობით.

---

## აჭარა დღეს



**აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს მიენიჭა დიდი ნორვეგიელი ჰუმანისტის, მშვიდობის დაცვის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის ფრიტიოფ ნანსენის სახელობის პრემია. ეს ამბავი საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა ფრიტიოფ ნანსენის სახელობის საერთაშორისო კულტურულ-საქველმოქმედო ფონდის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ფედიქს ბახჩინიანმა, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა ბათუმში.**

• • •

**ამ დღეებში ბათუმში ვიზიტად ჩასულმა ვატიკანის ელჩმა საქართველოში, არქიეპისკოპოსმა ჟან პოლ გობელმა გადასცა რა ბატონ ასლან აბაშიძეს სამახსოვრო მედალი რომის პაპის გამოსახულებით, უთხრა, რომ ეს პატივი მას, როგორც გამოჩენილ პოლიტიკოსს წილად ხვდა მშვიდობისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული ღვაწლისა და სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანთა შორის კეთილ ურთიერთობათა დამყარებისათვის. ამავე ბატონ ასლან აბაშიძეს გადასცა რომის პაპის პირადი წერილი.**

**საინფორმაციო სააგენტო „აღორძინება".**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ტრადიციული დღეები აჭარაში, შეხვედრები აჭარის სინამდვილესთან...

აჭარის ხელმძღვანელი — ასლან აბაშიძე ხვდება ჩვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგიას — ინტერვიუ ჟურნალისტური ჩანართებით, კომენტარებით და... პრეზენტაცია — გაზეთის ახალი დამატება-ჩანართისა — „აჭარა დღეს",

იხ. 2-3 გვ.

---

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 15 თებერვალი — ქ. თბილისი

**საქართველოს ტრანსპორტის საკოორდინაციო საბჭოს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საპრობლემო ცენტრის შექმნის შესახებ**

**საქართველოს** პრეზიდენტის 1996 წლის 9 იანვრის № 111 ბრძანებულების შესრულების, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის სტრუქტურაში საქართველოს სატრანსპორტო სისტემის ინტეგრირების ღონისძიებებთან დაკავშირებული პროგრამებისა და პროექტების დამუშავების დაჩქარებისა და სამუშაოთა კოორდინაციის, ინვესტიციათა მოზიდვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების მიერ სამისოდ გამოყოფილი სახსრების რაციონალური გამოყენების მიზნით:

1. შეიქმნას საქართველოს ტრანსპორტის საკოორდინაციო საბჭოს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საპრობლემო ცენტრი.
2. დამტკიცდეს საპრობლემო ცენტრის აპარატის სტრუქტურა (დანართი თან ერთვის). აპარატის საშტატო ნუსხა განისაზღვროს 6 ერთეულით.
3. დაევალოს საქართველოს ტრანსპორტის საკოორდინაციო საბჭოს (ა. ჩხაიძე) ორ კვირაში დაამტკიცოს საპრობლემო ცენტრის დებულება.
4. ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საპრობლემო ცენტრის დაფინანსება განხორციელდეს საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 15 თებერვალი — ქ. თბილისი

**გ. ნაკაიძის საქართველოს ტრანსპორტის საკოორდინაციო საბჭოს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საპრობლემო ცენტრის დირექტორად დანიშვნის შესახებ**

**დაინიშნოს გურამ ნაკაიძე** საქართველოს ტრანსპორტის საკოორდინაციო საბჭოს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საპრობლემო ცენტრის დირექტორად — ტრანსპორტის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

**ე. შევარდნაძე**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 15 თებერვალი — ქ. თბილისი

**მ. მურჯიკნელისათვის სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების შესახებ**

**საქართველოს** ჯანმრთელობის სისტემის განვითარებისათვის მსოფლიო ბანკის მიერ გათვალისწინებული კრედიტის გამოყოფისა და სასტუმრო „მეტეხის" მშენებლობისათვის აღებული კრედიტების რესტრუქტურიზაციისათვის ბანკ „კრედიტანშტალტ-ბანკფერაინთან" მოლაპარაკებების გამართვისა და შესაბამისი ხელშეკრულებების დადების მიზნით საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს **მირიან მურჯიკნელს** მიენიჭოს უფლებამოსილება, რათა მან საქართველოს სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები და ხელი მოაწეროს ამ საკითხებთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 15 თებერვალი — ქ. თბილისი

**თურქმენეთიდან 1995 წელს ბუნებრივი აირის მოწოდებით წარმოქმნილი სასაქონლო დავალიანების დაფარვის დროებითი კომისიის შესახებ**

1. შეიქმნას თურქმენეთიდან 1995 წელს ბუნებრივი აირის მოწოდებით წარმოქმნილი სასაქონლო დავალიანების დაფარვის დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**დავით იაკობიძე** — კომისიის თანათავმჯდომარე, საქართველოს ფინანსთა მინისტრი

**დავით ზუბიტაშვილი** — კომისიის თანათავმჯდომარე, საქართველოს სათბობენერგეტიკის სახელმწიფო კორპორაციის პრეზიდენტი

**დავით ელიაშვილი** — საქგაზის სახელმწიფო კომპანიის თავმჯდომარე

**გელა ნიორაძე** — საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრის მოადგილე.

2. კომისიამ მისაწოდებელი საქონელი (მომსახურება) შეარჩიოს ტენდერის (კონკურსის) მეთოდით იმ საქონელზე, რომელიც შეთანხმებულია ან შეთანხმდება თურქმენეთის ვაჭრობისა და რესურსების სამინისტროსა და საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროებს შორის იმ ვარაუდით, რომ თურქმენეთის მიერ მიღებული საქონლის ღირებულებას (ტრანსპორტირების ხარჯების ჩათვლით) აანაზღაურებს საქართველოს მხარე არა უმეტეს 50 პროცენტისა.

3. კომისია მუშაობას შეუდგეს და საქონლის მიწოდება დაიწყოს ბრძანებულების გამოცემის დღიდან.

4. სახელმწიფო კანცელარიის ეკონომიკურმა სამსახურმა დაუწესოს კონტროლი ამ ბრძანებულების შესრულებას.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 15 თებერვალი — ქ. თბილისი

**საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აქტების კანონიერების შემოწმების შესახებ**

**უკანასკნელ** პერიოდში სამართალდამცავი და კონტროლის ორგანოების მიერ გამოვლენილია სამთავრობო აქტების საფუძველზე შავ და ფერადი ლითონების ჯართის, ალუმინის, სპილენძის, სილიკომანგანუმის, ხე-ტყისა და სხვა რესურსების საზღვარგარეთ უკანონოდ გატანის მრავალი ფაქტი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმიანობაში ამ და სხვა დარღვევათა სრულად და ობიექტურად შეფასების მიზნით:

1. შემოწმდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992-1995 წლების აქტების (დადგენილებები, განკარგულებები და ა. შ.) და წერილების კანონიერება.
2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აქტების კანონიერების და მისგან გამომდინარე სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური შედეგების შესწავლის მიზნით შეიქმნას სპეციალური კომისია საქართველოს გენერალური პროკურორის **ჯ. ბაბილაშვილის** (კომისიის თავმჯდომარე), კონტროლის პალატის თავმჯდომარის **რ. შავიშვილის**, შინაგან საქმეთა მინისტრის **კ. თარგამაძის**, სახელმწიფო უშიშროების მინისტრის **შ. კვირაიას**, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის **ნ. ჩხობაძის**, ფინანსთა მინისტრის **დ. იაკობიძის**, ეკონომიკის მინისტრის **ვ. პაპავას** და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის **ნ. ჯავახიშვილის** შემადგენლობით.
3. სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა კომისიას მოთხოვნისთანავე წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესაბამისი აქტების რეალიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და მონაცემები.
4. სახელმწიფო კანცელარიამ (პ. მამრაძე) აღმოუჩინოს კომისიას სათანადო ორგანიზაციული დახმარება.
5. კომისიამ 1996 წლის 1 ივნისამდე წარმოუდგინოს დასკვნა შემოწმების შედეგებზე.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 15 თებერვალი — ქ. თბილისი

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის 1995 წლის 19 ივნისს დადებული შეთანხმებების დადასტურებისა და ძალაში შესვლის შესახებ**

1. **ვინაიდან** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის 1995 წლის 19 ივნისს დადებული ქვემოთ ჩამოთვლილი შეთანხმებები, საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის თანახმად, არ საჭიროებენ საქართველოს პარლამენტის რატიფიცირებას, მათი ძალაში შესვლის მიზნით დადასტურდეს:

ა) შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის საჰაერო ტრანსპორტის დარგში;

ბ) შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში;

გ) შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის შესახებ;

დ) შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის საფოსტო კავშირისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ;

ე) შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის განათლების, მეცნიერების და კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ;

ვ) შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე;

ზ) შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ.

2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ:

ა) აცნობოს საქართველოს პარლამენტს 1995 წლის 19 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული შეთანხმებების დადება;

ბ) შეატყობინოს ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული შეთანხმებების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი მოთხოვნების შესრულება.

**ე. შევარდნაძე.**



# აჭარა დღეს

№ 1

თებერვალი. 1996 წელი

საქართველოს რესპუბლიკა აჭარის ბიუროს პერიოდული ჩანართი-დამატება


## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ტრადიციული დღეები აჭარაში

„დღეს აჭარა იმედია საქართველოსი!" — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ეს მრავლისმეტყველი ფრაზა განვლილი სამი წლის მანძილზე მყარად დამკვიდრდა ჩვენი საზოგადოებრიობის, ყოველი პატრიოტი ქართველის შეგნებაში და მთელი ერის კუთვნილება გახდა.

ეს იმედი იდო ყოველთვის საფუძვლად ჩვენი გაზეთის ტრადიციულ დღეებს აჭარაში... ასე იყო ამჯერადაც.

ტრადიციას კი ამ სამი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. მაშინ მწუხრის ჟამი ედგა საქართველოს. ახლაც გვახსოვს ყველას საყოველთაო ქაოსი, ძმათამკვლელი ომი და დაპირისპირება, გაპარტახებული ქალაქები, სოფლები, შეგინებული ქართლი თუ კახეთი, შეურაცხყოფილი და პატივაყრილი სამეგრელო. შემდეგ აფხაზეთი და... ქართველთა ამ დიდი უბედურებით სასტიკად დარჩენილი, გაოგნებული და ჩოლოქთან ყალყზე შემდგარი აჭარა.

ისიც გვახსოვს, როგორ სასწაულად გადაგვეირჩა მაშინ ქობულეთი, ბათუმი, ქედა, შუახევი, ხულო, „გოდერძი", რომლის გადათელვაც საკმარისი იქნებოდა იმისათვის რომ აფეთქებულიყო და ცეცხლის ალში გახვეულიყო მთელი სამხრეთი — ახალქალაქიდან გარდაბნამდე.

აი, მაშინ კი, მართლაც აღარ იქნებოდა საქართველო...

„— აჭარის მთელ მოსახლეობასა და მის ხელმძღვანელობას, მის ლიდერს, მინდა ერთხელ კიდევ მადლობა ვუთხრა იმისათვის, რომ მათ ეს სიმშვიდე, სტაბილურობა და ნორმალური ცხოვრებისა და მუშაობის პირობები შეინარჩუნეს", — ასე შეაფასა აჭარელთა ეს უდიდესი ძალისხმევა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

მართლაც, იმ ძნელბედობის ჟამს, აჭარამ და მისმა ხელმძღვანელობამ — ასლან აბაშიძემ სწორედ აქ, ჩოლოქთან ჩაჭრეს — ჩააქრეს ის ფეთქებადი ზონარი, რომელიც მარწუხივით უნდა შემორტყმოდა მთელ საქართველოს. ვინ არ ცდილობდა მაშინ აჭარას. საჭირო იყო თანადგომა, ზოგჯერ სასოწარკვეთილი კივილიც, რომ შეგვენარჩუნებინა აჭარელთა დიდი შემართება, აჭაური სიმშვიდე. წესრიგი და ყაყაცობა — ასეც გადავწყვიტეთ მაშინ ჩვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე... ასე ჩავიდნენ ბათუმს ჩვენი ჟურნალისტები, რომლებმაც გაარღვიეს ინფორმაციული ბლოკადა... ასე გაიკაფა გზა ჩვენი მკითხველისაკენ სინამდვილემ, სიკეთემ, რომელიც აჭარამ უდიდესი ძალისხმევის ფასად იმედად შემოუნახა საქართველოს. სწორედ მაშინ დაფუძნდა ბათუმში ჩვენი გაზეთის აჭარის ბიუროც. შემდეგ ასე იყო: ჩვენი გაზეთის მოწოდებით ბათუმში ჩადიოდნენ ჩვენი სახელოვანი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, პარლამენტარები, ჟურნალისტები, მთელი რიგი ქალაქების წარმომადგენლები. ასე იმძლავრა სიკეთემ, რომელიც შემდგომ აჭარაში აღმოცენებული სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის დიდი საპარლამენტო ტრიუმფით დაგვირგვინდა.

არჩევნების შემდეგ საკმაო ხანი გავიდა, მაგრამ მავანნი დღესაც გაოცებული კითხულობენ: — რამ განაპირობა — „აღორძინების კავშირის" ასეთი გამარჯვება?

ბათუმში ამ კითხვას ელემენტარულად ხსნიან: — არა სიტყვით, არამედ საქმით ზრუნვამ საქართველოს აღორძინებისათვის. ეს არის და ეს, აჭარისა და მისი ხელმძღვანელობის უმთავრესი „საიდუმლო". საქმე კი ისეთი რეალობა გახლავთ, რომ ყოველთვის ხელის გულზე დევს და ახარებს, სიამაყით ავსებს ყველას, ვინც ჩამოდის აჭარაში და საკუთარი თვალით ხედავს იმ გასაოცარ ფერისცვალებას, აქ რომ მოხდა უკანასკნელ წლებში.

აჭარაში, ბათუმში დღეს მართლაც ბევრი რამ არის სანახავი და საყურადღებო, რადგან, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი ამბობს: „აჭარაში ადამიანები ფიქრობენ საქმეზე, ეკონომიკაზე, წესრიგზე, ფიქრობენ ხელოვნებაზე, მეცნიერებაზე... დარწმუნებული ვარ, რომ ეს ის გზაა, რომლითაც საქართველომ უნდა მონახოს თავისი ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში".

ამიტომაც ეძახიან დღეს აჭარას გზის გამკვალავსა და სამომავლო იმედს. „საქართველოს რესპუბლიკის" ტრადიციული დღეების პროგრამა ამჯერადაც ამ ნიშნით იყო დატვირთული. ჩვენ კიდევ ერთხელ შევხვდით აჭარის სინამდვილეს, მის ხელმძღვანელებს, სახელოვან ადამიანებს, სწორედ აქ ნანახსა და განცდილზე მოგითხრობთ ეს ახალი ჩანართი-დამატება — „აჭარა დღეს", რომელსაც ამიერიდან, დროდადრო შევთავაზებთ მკითხველს.



„გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", მისი სარედაქციო კოლეგია იყო პირველთაგანი, ვინც ამ სამი წლის წინანდელი ძნელბედობის ჟამს მხარში დაუდგა აჭარას, მის ხელმძღვანელობას... სწორედ მან გაარღვია ინფორმაციული ბლოკადა და მთელ საქართველოს უთხრა სიმართლე აჭარაში მიმდინარე სასიკეთო პროცესებზე. ჩვენ არასოდეს ვივიწყებთ რესპუბლიკის ამ წამყვანი გაზეთის დიდ თანადგომას და ყოველთვის მადლიერების გრძნობით აღვიქვამთ „საქართველოს რესპუბლიკის" ძალისხმევას — იდგეს აჭარის გვერდით და ხელი შეუწყოს სრულიად საქართველოს აღორძინებას".

**ასლან აბაშიძე,**

სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის ლიდერი, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

# შეხვედრები აჭარის სინამდვილესთან

ეს შეხვედრა აჭარის ხელმძღვანელთან — ბატონ ასლან აბაშიძესთან, აჭარაში ჩვენი გაზეთის ტრადიციული დღეების დასკვნით დღეს — 5 თებერვალს შედგა. ბატონმა ასლანმა, გაზეთის მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი, რედაქციის კონსულტანტი — სახელგანთქმული პოეტი შოთა ნიშნიანიძე, კოლეგიის წევრები: მთავარი რედაქტორის მოადგილეები: რუსუდან ლორთქიფანიძე, რუსლან რუსია, ეკონომიკური რედაქტორი ოთარ ხუციშვილი, მიმომხილველი გიორგი ლალიაშვილი და გაზეთის პოლიტიკური რედაქტორი — აჭარის ბიუროს ხელმძღვანელი ჟია ქელიძე, ბათუმის ერთ-ერთ ულამაზეს ადგილას, ჩოგბურთის კომპლექსის თანამედროვე ნაგებობაში მიიწვია.

როგორც თავად ამბობს, აქ, ბათუმის სახელგანთქმული ზღვისპირა პარკის შესანიშნავ გარემოში, სადაც ჩოგბურთის მოედნებზე ასეულობით ბათუმელი ნორჩი ყმაწვილ-ქალიშვილით მარჯვედ სცემს ჩოგანს, იგი განსაკუთრებულად ლაღად და თავისუფლად გრძნობს თავს, რადგან, აქ დავიწყებას ეძლევა ყოველდღიური დაძაბულობა, ათასი გულსატკენი მსხვილმანი თუ წვრილმანი... ერთი სიტყვით, აქ ყველა პირობაა იმისათვის, რომ მასპინძელიც და სტუმარიც განეწყონ გულახდილი, საქმიანი საუბრისათვის.

ასე იყო ამჯერადაც, როცა გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრებმა აჭარის თავკაცს გავუზიარეთ აჭარაში განვლილი ოთხი დღის მანძილზე გაწეული ჟურნალისტური მუშაობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები და ვთხოვეთ ეპასუხა ჩვენს კითხვებზე:



— ბატონო ასლან, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" დღეების მოწყობა აჭარაში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, ტრადიციად იქცა. ამ პერიოდში, როგორც ამბობენ, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ჩვენი შეხვედრები აჭარის სინამდვილესთან — სინამდვილედ დარჩა. თქვენ რას იტყოდით?

— ახალს ვერაფერს ვიტყვი... ვიტყვი იმას, რასაც აქამდე ვამბობდი:

იმ დროს, როცა ძალიან ბევრი რამ იყო დახურული და მიუწვდომელი საქართველოს მოსახლეობისათვის, რომელსაც პრესითა და ტელევიზიით მიზანმიმართულად აწვდიდნენ ჭორსა და მითქმა-მოთქმაზე დაფუძნებულ დეზინფორმაციას, აჭარაში მიმდინარე პროცესებზე, მაშინ, საქართველოს უმთავრესმა გაზეთმა (ნუ ეწყინებათ სხვებს!), რომელიც ნამდვილად ამართლებს თავის სახელწოდებას, გააკეთა უდიდესი საქმე, როდესაც მან არა მარტო სახელმწიფოებრივად და ეროვნულად, არამედ ისტორიულადაც გამართლებული პოზიცია დაიკავა და იმ ურთულეს დროს მართალი, ობიექტური სიტყვა თქვა აჭარაზე, აქ მიმდინარე სასიკეთო პროცესებზე. ამით მან გაგვიხსნა ხელ-ფეხი და მოგვცა შესაძლებლობა გადაგვედგა მეტად საგულისხმო ნაბიჯები სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ. ასევე აფასებს თქვენი კოლექტივის ამ ძალისხმევას და როლს მთელი ჩვენი გუნდი, აჭარის საზოგადოებრიობა. აქედან გამომდინარე, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მთელ კოლექტივს, უპირველესად, მთავარ რედაქტორს, სარედაქციო კოლეგიის წევრებს, გაზეთის „აჭარის ბიუროს" ასეთი თანადგომისათვის.

რაც შეეხება თქვენი გაზეთის ტრადიციულ დღეებს აჭარაში... შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ, სიმართლე თუ გნებავთ, გეტყვით: — მე უკმაყოფილო ვარ, რადგან ეს ყველაფერი ხდება წელიწადში ერთხელ, რაც ძალზე ცოტაა და არ არის საკმარისი. მე რომ მკითხოთ, ეს კვარტალში ერთხელ მაინც უნდა იყოს, რადგან, ჩვენ ხელშეწყობა გვინდა. დღეს, როცა ყველაფერი ასე დინამიურად ვითარდება, არ შეიძლება ერთი წლის შემდეგ ვაფასოთ და ვაანალიზოთ მოვლენები. ასე რომ, თუ ამ ინტერვალს შევამცირებთ და კვარტალურს მაინც გავხდით, გაცილებით კარგი იქნება ჩვენთვისაც, თქვენი გაზეთისთვისაც და მკითხველისთვისაც.

— ალბათ მიმიხვდით, ამას მე სულ სხვა ასპექტითა და გრძნობით ვუდგები. მინდა უფრო ახლოს ვიყოთ... ერთია გაზეთის აჭარის ბიუროს მიერ გაზეთის ფურცლებზე წარმოდგენილი პუბლიკაციები, მაგრამ სულ სხვაა, როცა თითქმის მთელი რედკოლეგია ჩამოდის და საკუთარი თვალით ეცნობა ყველაფერს. ასე, რომ, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, მოდით, ეს საკითხი გადაწყვეტილად ჩავთვალოთ.

**რუსლან რუსია:** — ბატონო ასლან, განვლილ არჩევნებში თქვენი პარტიის — „სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის" წარმატებებზე ბევრს ლაპარაკობენ... ზოგმა ეს სენსაციადაც აღიქვა.. თქვენ როგორ აფასებთ ამ გამარჯვებას, უმთავრესად რამ განაპირობა იგი?

— ერთ კითხვაში ამაზე პასუხის გაცემა ერთობ ძნელი საქმეა და ალბათ, გამიჭირდება. მაინც შევეცდები, მოკლედ გიპასუხოთ. გარკვეული მიზეზების გამო, ჩვენ წინასაარჩევნო კამპანია ვერ წარვმართეთ ისე, როგორც საჭირო იყო. მოგეხსენებათ, ჯერ ბლოკში გავერთიანდით, შემდეგ გადაწყდა, რომ ცალკე გავსულიყავით. ამან განაპირობა ის, რომ არჩევნებამდე დარჩენილ ხუთ დღეში მხოლოდ სააგიტაციო პლაკატების გაკვრა თუ მოვასწარით. მანამდე კი, ჩვენი აქცენტი გადატანილი იყო აჭარაში საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებზე... ეს იყო ამ ეტაპზე ჩვენთვის ძირითადი და განმსაზღვრელი, პარტიის ინტერესები კი, მეორე პლანზე იდგა. თუმცა, მართალი რომ ვიყო, გეტყვით: წინასწარ ვიცოდით, რომ ხმას მოგვცემდნენ, რადგან, ვისაც სურს, დაინახოს რეალობა, მან კარგად იცის, რომ ამ ხნის განმავლობაში სიტყვა „აღორძინება" მხოლოდ ლოზუნგი არ იყო ჩვენთვის. შემთხვევით არც კავშირის სახელი შეგვირჩევია. ამასთან, ჩვენი საქმიანობის ყოველი დღე სავსე იყო პრაქტიკული ნაბიჯებით, თითქმის ყველა სფეროში — ხელოვნებაში, კულტურაში, მეცნიერებაში, ეკონომიკასა თუ მშენებლობაში. ამას ხედავდა ხალხი. წარმოიდგინეთ, სწორედ იმ ურთულეს დროს შევქმენით ბათუმის ოპერის თეატრი, რომლის პირველმა ორმა სპექტაკლმა — „აბესალომმა" და „ლელამ" სახელმწიფოს უმაღლესი პრემია — რუსთაველის პრემია დაიმსახურა. შემდეგ მას მოჰყვა „აიდა", მალე აელერდება „ოტელოც", მოგეხსენებათ, ეს ისეთი სიმაღლეებია, რომ ასეთ დროს, ასეთ პატარა ქალაქში, თუ ამისათვის წინასწარ არ ხარ შინაგანად მომზადებული, ყველაფერი მხოლოდ ფანტასტიკურ ამოცანად შეიძლება დარჩეს. ერთ პატარა შედარებას გავაკეთებ: ყველას გვინახავს აღმოსავლური ბრძოლების ოსტატები როგორ ამტვრევენ აგურების მთელ წყებას. ამას ვერავინ შეძლებს, თუ არ აქვს მობილიზებული შინაგანი ენერგია. ასე რომ, ჩვენ მიზანიც გვქონდა, ენერგიაც და ისიც ვიცოდით, რა უნდა გვეკეთებინა. სხვა მაგალითსაც მოვიტან: 1995 წლის ბოლომდე, აჭარაში ავაშენეთ 98 ხიდი, მათ შორის, ჭოროხის ხიდი, რომელიც ყველაზე დიდია საქართველოში. კაპიტალურად შევაკეთეთ 40-ზე მეტი ხიდი. ხიდებს ახლაც ვაშენებთ. მართალია, ხშირად ვიმეორებ ამას, მაგრამ, გაიხსენეთ, რა მოხდა ამავე პერიოდში, 50-მდე ხიდი დაინგრა და აფეთქდა საქართველოში.

ამას წინათ, ახალი ხიდი გაიხსნა ნატანებში... ამ 76-მეტრიანი ხიდის მშენებლობაში გვეხმარებოდნენ მსოფლიოს სასურსათო პროგრამის ფონდი, ჩვენი მოძმე — მეზობელი აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკები, მის გახსნაზე ჩამოვიდნენ გაეროს სასურსათო პროგრამის წარმომადგენლები, ელჩები, მინისტრები, მეზობელი ქვეყნების ხელმძღვანელი მუშაკები. ერთი სიტყვით, ვინ არ მიაგო პატივი ამ მოვლენას. ჩვენ კი ის, რაზეც ადრე მოგახსენეთ, ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე, უპრეტენზიოდ გავაკეთეთ და შევძინეთ აჭარას, მთელ საქართველოს იმ წლებში, როცა ქაოსით იყო მოცული მთელი ჩვენი ქვეყანა.

მომავალში ასეთივე მიმართულებით ივლის ჩვენი „აღორძინების კავშირი". გახსოვთ, ალბათ, ყოფილ საბჭოთა კავშირის დროს, როცა დღევანდელთან შედარებით, გაცილებით მეტი თანხები გვაჩნდა მშენებლობისათვის, შენებაც შეგვეძლო, და ზოგჯერ მიწერებზეც მივდიოდით, აი, მაშინაც კი ვერ გადავწყვიტეთ ბევრი საჭირბოროტო პრობლემა. ახლა ჩვენ დარგობრივად ვწყვეტთ ამ პრობლემებს. ამჯერად, მიზნად დავისახეთ გადავჭრათ აჭარის მოსახლეობისათვის უმთავრესი — აქ მოწეული ციტრუსოვანთა ნაყოფისა და ჩაის მიღების, გადამუშავებისა და რეალიზაციის საკითხები.

— ასევე ვცდილობთ დარგობრივად გადავწყვიტოთ ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სხვა დარგების განვითარების საკითხები. მეც ასე მიმაჩნია, რომ ერთი დარგის აღორძინებამ მეორეს უნდა უბიძგოს, თორემ სხვაგვარად არაფერი გამოვა. ამ ეტაპზე მთელი ჩვენი ძალისხმევა სწორედ ისეთი დარგების აღორძინებისკენ არის მიმართული, რომლებიც განსაკუთრებულ პრობლემებს უქმნიან ჩვენს მოსახლეობას.

სხვა მაგალითსაც მოვიტან: ყველას კარგად მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ჩვენი ქვეყნისათვის **ბათუმის საზღვაო ნავსადგური.** მე იმედი მაქვს, რომ მის პრობლემებზე თქვენ მოუთხრობთ მკითხველს. მე კი ერთ საკითხს შევეხები. მოდით, ისევ საბჭოთა პერიოდს დავუბრუნდეთ. მაშინ საკავშირო მთავრობამ ძლივს შეძლო შავ ზღვაზე ერთი საბორნე გადასასვლელის — „ვარნა-ილიჩოვსკის" მოწყობა. დღეს კი ჩვენ უკვე სამკუთხედს ვქმნით. ეს იქნება საბორნე გადასასვლელი — „ვარნა-ილიჩოვსკი-ბათუმი", რომელიც მოხსნის დღის წესრიგიდან საქართველოს მოთხოვნილებას ტვირთების შემოტანა-გატანაზე. ეს რაც შეეხება მინიმუმს. მაქსიმუმი და პერსპექტივა კი, მოგეხსენებათ, არა თუ აჭარის, ჩვენი სახელმწიფოს ფარგლებსაც სცილდება. ასე რომ, არც ერთი ჩვენი საქმიანი ნაბიჯი თუ წამოწყება, როგორც ხედავთ, რა მასშტაბისაც უნდა იყოს ის, რეგიონალური ჩარჩოებით არ იფარგლება. იგი, როგორც წესი, მთლიანად საქართველოზეა გათვლილი.

### პაუზა სარედაქციო ჩანართისათვის:

— ნათქვამია ცოტა კარგს, ბევრი კარგი სჯობია, — იხუმრა სახელოვანმა პოეტმა **შოთა ნიშნიანიძემ**, და ჩვენს მთავარ რედაქტორს **გურამ გოგიაშვილს** გადაულოცა სიტყვა: — მართლაც, — განაგრძო ბატონმა **გურამმა**, — ჩვენ სრულიადაც არ გვიკვირს ის დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რომელიც თქვენ გამოთქვით აჭარაში ჩვენი გაზეთის ტრადიციული დღეების ერთწლიან ინტერვალთან დაკავშირებით, მით უმეტეს, მაშინ, როცა აჭარაში, ბათუმში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა ქვეყნის მთავრობის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, კონტროლის პალატის პრეზიდიუმების, სხდომების [illegible] ასეთ ვითარებ[illegible] ატმოსფეროში ჩვენს გაზეთს, [illegible] ქციო კოლეგ[illegible] რის ბიუროსაც მეტის გაკეთება [illegible] ებს და გავაკეთებთ კიდეც...

### პაუზა სარედაქციო ჩანართისათვის:

ბია ჭელიძე:

## „ჯორჯიენ მანდარინი" და „ჯორჯიენ კინგ თი"

ადგილობრივი მეურნეობის ეს ტრადიციული დარგები, ბოლო წლებში, იქამდე მივიდა, რომ აჭაურმა მეციტრუსეებმა და მეჩაიეებმა ამ კულტურების მოვლა-მოყვანაზე თითქმის ხელი ჩაიქნიეს.

ამ პროცესთან ბრძოლაში მეჩაიე და მეციტრუსე უძლურნი აღმოჩნდნენ. მათ დაკარგეს ანაზღაურება, მატერიალური დაინტერესება და გაჩერდნენ. მაგრამ არ გაჩერებულან აჭარის ხელმძღვანელები, სპეციალისტები, ბიზნესმენები, და, შეიძლება ითქვას, გაიმარჯვეს კიდეც. უკვე ამოქმედდა ციტრუსისა და ჩაის გადამამუშავებელი, მსოფლიო სტანდარტებზე გათვლილი ახალი ხაზები, რომლებმაც, ეს დარგები დაღუპვისაგან იხსნა.

და აი, ჩვენ ერთ ასეთ, თანამედროვე ტექნოლოგიით გაწყობილ საქართველო-ისრაელის ერთობლივ საწარმო „სანტრიში" (მზის ხე) ვართ. იგი რამდენიმე თვეა მუშაობს და მშვენიერ პროდუქციასაც უშვებს. ჩაი საცრებში პირწმინდად იწმინდება მტვრისგან (რაც ასე უკარგავდა მას გემოსა და ხარისხს), ფასოვდება, იფუთება თანამედროვე „დიზაინით გაფორმებულ პარკებში, რომელსაც აწერია „ჯორჯიენ კინგ თი" (ქართული ჩაი). პროდუქცია გამდიდრებულია სხვადასხვა ესენციებით, რაც მას სურნელოვანსა და სასიამოვნოს ხდის.

თუ საწარმო მთელი დატვირთვით იმუშავებს, თვეში 200 ტონა ჩაის დაფასოებს. ეს ნიშნავს, რომ აჭარაში ჩაის გადამუშავება-დაფასოების პრობლემა მოიხსნება და მეჩაიეც ამუშავდება.

დიახ, აჭარის პროდუქცია უკვე საერთაშორისო სტანდარტების დონეზე გადის. ხელვაჩაურის ციტრუსების გადამამუშავებელ საწარმო „ნარინჯში" დამონტაჟებულმა ახალმა ხაზმა, რომელიც მანდარინს ერთდროულად აფასოებს და ფუთავს კიდეც, სეზონზე 1000 ტონა პროდუქცია გამოუშვა.

ბოლო დროს აჭარაში სამი ასეთი საწარმო აშენდა, რომლებსაც სეზონზე 70 ათასი ტონა ციტრუსის დაფასოება-შეფუთვა შეუძლიათ, ეს სავსებით საკმარისია.



### პაუზა სარედაქციო ჩანართისათვის:

ოთარ ხუციშვილი:

## ნავსადგური—გმირი?!

— ბათუმის ნავსადგური, — გვითხრა მისმა უფროსმა, ბატონმა ასლან ბოლქვაძემ, — უკვე 120 წელიწადს ითვლის. მისი სიღრმე 14 მეტრია და ამ მაჩვენებლით შავი ზღვის აუზში თავის „კოლეგებს" ბევრად სჯაბნის. ასეთი ნავსადგური დიდი სიმდიდრეა ყოველი დიდი თუ პატარა ქვეყნისათვის, რა თქმა უნდა, თუკი მას გონივრულად გამოიყენებთ.

ჩვენ კი როგორ ვიყენებთ? — ცუდად, ძალიან ცუდად. ამის მაგალითად ნავთობტერმინალიც გამოდგება, რომელიც ფაქტობრივად მოცდენილია. როგორც აქ გვითხრეს, მას შეუძლია წელიწადში 7 მილიონი ტონა თხევადი ტვირთის გატარება, რეალურად კი მხოლოდ 600 ათას ტონას ატარებს.

რატომ?

თურმე იმიტომ, რომ მას რესპუბლიკის ყოფილი მინისტრთა კაბინეტის ყოფილი ხელმძღვანელებიდან ზოგიერთი თურმე ალმაცერად უყურებდნენ — ასეთ ტვირთებს უმეტესად ფოთის ნავსადგურში იღებდნენ და აგზავნიდნენ... ბათუმისას კი „ამიმჩილებდნენ", ბიუროკრატთა ასეთი „თვითნებობისა" და გაუმაძღრობის წყალობით, რა თქმა უნდა, მარტო ნავსადგური კი არა, ქვეყნის უმთავრესი ხაზინა — ბიუჯეტიც შიმშილობდა.

ბათუმელ ზღვაოსნებს სხვა მხრივაც ავიწროებდნენ — საქართველოს რკინიგზას აქედან ტვირთები თურმე უფრო ძვირად (ტონაზე ერთი დოლარით მეტი) გადაჰქონდა, ვიდრე ფოთიდან. რით იყო ეს გამოწვეული ან მოტივირებული, არავინ უწყის, ერთი კი ცხადია, ბათუმის ნავსადგურმა მავანთა ამ „გამოგონებით" უამრავი კლიენტი და მასთან ერთად მილიონობით შემოსავალი დაკარგა.

ამ სიკეთესთან ერთად ნავსადგურს არ აკლია მოვალეებიც. იმათგან ყველას სად ჩამოვთვლით, მაგრამ ერთს — პურპროდუქტების კორპორაციას მაინც დავასახელებთ. მას არც მეტი, არც ნაკლები, 841 მილიარდი (მაშინდელი ანგარიშით) კუპონი მართებს მეზღვაურებისა.

და ამის მიუხედავად, ნავსადგურში მაინც დიდი სამომავლო შრომაა გაჩაღებული, მეოთხე და მეხუთე ნავსადგომებზე, რომლებიც თავისუფალ ეკონომიკურ ზონად არის გამოცხადებული, მიმდინარეობს მზადება ხორბლის დიდი ტერმინალის ასაშენებლად. აქ დამონტაჟდება „ნოერის" ტიპის თანამედროვე პნევმოგადამტ-

(დასასრული მე-8 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ცირთავი მანქანები, რომელთა წარმადობა საათში 550-600 ტონას შეადგენს. აქვე გათვალისწინებულია 30-50 ათასი ტონის ტევადობის ელევატორის მშენებლობა, რომელსაც ხორბლის ხანმოკლე ვადით შესანახად გამოიყენებენ.

რეკონსტრუქცია გაუკეთდება მეცხრე ნავმისადგომსაც, რომელზეც ორი როტორული რევერსული ხასიათის პნევმოგადამტვირთავი დამონტაჟდება. ისინი დღეღამის განმავლობაში 1450-1500 ტონა ტვირთს გადაამუშავებენ.

და მაინც, იმათ შორის, რაც აქ ვნახეთ და მოვისმინეთ, უმთავრესია საბორნე გადასასვლელის მშენებლობა. აქ დღეღამეში ვარნიდან და ილიჩევსკიდან შემოსული 108 ვაგონი ჩამოიცლება და ხელახლა დაიტვირთება, რაც სადგურის წარმადობას მნიშვნელოვნად გაზრდის.

დაგვისახელეს კონკრეტული ციფრებიც — ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა ნავსადგურს საშუალებას მისცემს მშრალი ტვირთების გამტარუნარიანობა 8-12 მილიონ ტონამდე, ხოლო ნავთობპროდუქტებისა — 10 მილიონ ტონამდე გაზარდოს. მაგრამ ყოველივე ეს შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რკინიგზის, მათ შორის, ბათუმის რკინიგზის რეკონსტრუქცია, ამისთვის საჭიროა დაბა ოჩხამურში, ახალი სატვირთო უბნის აშენება, რომელიც აღიჭურვება თანამედროვე დანადგარებით, გამრეცხი სადგურებით და სახნორებით.

როდის ჩადგება მწყობრში ბორანი? — ვარაუდობენ, რომ წლეულს აგვისტო-სექტემბერში... იგი პირველ წელს გადაამუშავებს 2 მილიონ ტონა ტვირთს, მეორე წელს — 4 მილიონ ტონას და ასე შემდეგ. საყურადღებოა, რომ ბორნის მიღებაზე პრეტენზიას აცხადებს ფოთის ნავსადგურიც...

არის თურმე ერთი მისვლა-მოსვლა მოსკოვურ ფირმა „სანთრაკოში", რომელიც უკვე იწყებს მშენებლობას ბათუმში. ერთი კი ნათელია, ზემოდან საქმე ისე უნდა წარიმართოს, რომ ბათუმი და ფოთი ერთმანეთს კი არ ექიშპებოდნენ, არამედ ერთად იზრუნებდნენ საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისათვის.

დღემდე ასე არ იყო. ვფიქრობ, ამიერიდან მაინც მოეღება ბოლო ამ დაპირისპირებას.



# შეხვედრები აჭარის სინამდვილესთან

გია ჟელიძე: — **ბატონო ასლან, თქვენ ადრე ამ სიახლის რესპუბლიკურ მასშტაბს შეეხეთ. თუ ევროპა-აზიის დერეფნის პერსპექტივას გავითვალისწინებთ, ეს მასშტაბი კიდევ უფრო ფართო[...] და აღმოსავლეთის ქვეყნებისკენ მიემართება.**

— როგორც იცით, „დერეფნის" პრობლემა ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზეა. რაც შეეხება საბორნე გადასასვლელს, იგი სულ რამდენიმე თვეში რეალობად იქცევა. ეს გაკეთდება მხოლოდ უცხოელი ინვესტორების სახსრებით. ასე რომ, ამისათვის ჩვენი სახელმწიფო ხაზინა არაფერს გაიღებს. ახლა მთავარია ყველამ ერთად ვიზრუნოთ ამისათვის...

**— ბატონო ასლან, კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს გვინდა შევეხოთ. გასულ წლებში ჩვენ არაერთხელ წამოვწიეთ ბათუმში ეკონომიკური ზონის შექმნის საკითხი. ამაში ჩაერთო პრეზიდენტი, რომლის დავალებითაც რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო სათანადო დადგენილებაც.. მაგრამ ეკონომიკური ზონა, რომელსაც ასე ოპერატიულად მოველოდით, ჯერაც არ ფუნქციონირებს. გვითხარით, რაშია საქმე?**

— პირდაპირ გეტყვით: აქ ჩვენებურ, ქართულ ხასიათთან გვაქვს საქმე. თავს არავის შევაწყენ ეკონომიკური ზონის სიკეთეზე ლაპარაკით, რადგან მან ყველგან აჩვენა თავისი ცხოველმყოფელობა. ასეთი სიკეთე ფიზიკურად მაშინვე დაეტყობა ხოლმე ქვეყნის იმ ნაწილს, სადაც ეკონომიკური ზონაა შექმნილი, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოსავლების 90 პროცენტი და მეტი ცენტრალურ ბიუჯეტში შედის. მაგრამ ის მცირედიც კი, რაც რჩება ადგილზე, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მოსახლეობამ იგრძნოს მთელი ეს სიკეთე.

განა ძველი ეკონომიკური ზონის, ე. წ. „პორტო-ფრანკოს" სიკეთის შედეგად არ შეიქმნა ჩვენი ქალაქი? ის რასაც ხედავთ ბათუმში, განა იმ დროს არ გაკეთდა? ეს შემთხვევითი როდია. სწორედ ამისათვის არის ზედგამოჭრილი ბათუმი გეოპოლიტიკურად, ბუნებრივად. როგორც უცხოელი სპეციალისტები ლაპარაკობენ, ბათუმის ეკონომიკური ზონა გაცილებით მძლავრი იქნება, ვიდრე ახლო უცხოეთის ქვეყნებში შექმნილი ასეთი ზონები. მაგრამ დღემდე ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ბათუმის ეკონომიკური ზონის საკითხი ქაღალდზე დარჩეს. რა არ გავაკეთეთ ამისათვის... უცხოელმა სპეციალისტებმა საგანგებოდ შეისწავლეს და დაამუშავეს ასეთი ზონის დასაფუძნებელი ყველა დოკუმენტი, რომელიც ერთ კრებულად შევკარით და წარვადგინეთ. შემდეგ კი მივიღეთ ე. წ. „შუალედური დოკუმენტი", რომელზეც ხელისმოწერას მთხოვდნენ. მართალია ეს იდეა ჩემგან გამომდინარეობდა და ამ პრობლემას ასე თუ ისე ვიცნობდი, მაგრამ ამას უსპეციალისტებოდ მაინც ვერ გავაკეთებდი. მოვიწვიეთ კიდეც, ვაჩვენეთ და... ასეთი დასკვნა მივიღეთ: აღნიშნულ დოკუმენტს არავითარი კავშირი არა აქვს ეკონომიკური ზონის პრინციპებთან.

კარგად მესმის, დღეს საქართველოში ვერავის გაამტყუნებ იმაში, რომ ვერ ერკვევა ეკონომიკური ზონების მოქმედების პრინციპებში. არც ისეთი ხალხი მინახავს ჩვენში, ვინც გავიდა, შეისწავლა და შექმნა რაიმე დოკუმენტი ამ პრობლემის ირგვლივ. ასე რომ, ჯერ ჩვენ არ გვაქვს გამოცდილება ამ დარგში. აი, სწორედ ასეთმა ხალხმა შექმნა წინასწარგამიზნულად დოკუმენტი, რომელიც აჩერებს და აბრკოლებს ეკონომიკური ზონის ამოქმედებას ბათუმში.

კატეგორიულად ვაცხადებ: ჩვენ რომ ეს ზონა თავის დროზე აგვემოქმედებინა, ჩვენს ქვეყანას უკვე ბევრი ეკონომიკური პრობლემა ექნებოდა მოხსნილი.

## პაუზა სარედაქციო ჩანართისათვის:

**— განვლილი ორი წლის მანძილზე ჩვენმა გაზეთმა პუბლიკაციათა მთელი ციკლი დაუთმო ამ პრობლემას. ჩვენ გამოვაქვეყნეთ არა ერთი უცხოელი ექსპერტის, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური ზონების ხელმძღვანელთა და წამყვან სპეციალისტთა სავარაუდო გათვლები ბათუმის ეკონომიკური ზონის ამოქმედებით მიღებული შესაძლო შემოსავლების შესახებ. ციფრები, მართლაც ასტრონომიული იყო. ეს უნდა მომხდარიყო სულ რაღაც ორ წელიწადში. მას შემდეგ, რაც ამ პრობლემით დაინტერესდა სახელმწიფოს მეთაური, ხოლო მინისტრთა კაბინეტმა მიიღო შესაბამისი დადგენილება, ბათუმელი ექსპერტები, ცნობილ უცხოელ სპეციალისტებთან ერთად საგულდაგულოდ სწავლობდნენ აქვე მეზობელ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური ზონების ყველა წვრილმანს თუ მსხვილმანს. ბათუმის ნავსადგურში დაიწყო ნავსადგომების, სათანადო ნაგებობებისა და ტერიტორიის მომზადება, სარფის საბაჟოსთან გაჩნდა ეკონომიკური ზონის პირველი ობიექტი „დუტიფრი", მზადდება ინფრასტრუქტურა, კადრები, მაგრამ ჯერჯერობით საქმე ადგილიდან არ იძვრის, როგორც ამბობენ, იგი იუსტიციის სამინისტროს კაბინეტებშია შეჩერებული.**

**მაშინ სხვა დრო იყო და ძალებს, რომლებიც იყვნენ მოკალათებული სახელმწიფო მმართველობაში და ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ იდეის დათრგუნვას, მოღალატეებს ვეძახდით და, როგორც შემდგომ გამოირკვა, არც თუ უსაფუძვლოდ. ახლა როცა გადაიდარა, პირდაპირ გაოცებას იწვევს რატომ ყოვნდება ამ სერიოზული საკითხის გადაწყვეტა?**

— მიაქციეთ ყურადღება — ხშირად მეკითხებიან, შეუშლიან თუ არა ხელს ბათუმის ეკონომიკურ ზონას აქვე ჩვენს მეზობელ თურქეთში ტრაპიზონსა და სამსუნში შექმნილი ზონები. მე ვამბობ: — არა, არ შეგვიშლიან. — მათი არსებობა ჩვენ, პირიქით, დაგვეხმარება. უფრო მეტიც, ისინი დაინტერესებულიც კი არიან ბათუმში ეკონომიკური ზონის შექმნით. ჩემთვისაც მოულოდნელი იყო მათი ასეთი დამოკიდებულება, მაგრამ, როცა ამიხსნეს, რომ ჩვენს ეკონომიკურ ზონასთან თანამშრომლობა მათ გაცილებით მეტ მოგებას მისცემს, ვიდრე დღეს აქვთ, დავრწმუნდი მათ გულწრფელობაში. ბათუმი სატრანზიტო ქალაქი იყო ჯერ კიდევ ე. წ. „აბრეშუმის გზის" პერიოდიდან. ახლო წარსულშიც აქ იყრიდა თავს დიდი რაოდენობის ტვირთი, რომელიც ამ გზით გადიოდა თურქეთის რესპუბლიკასა და ევროპაში. ჩვენ კი გზა გადავუკეტეთ ამ ტვირთებს **რეექსპორტის მაღალი ფასებით**, სხვადასხვა **დამამუხრუჭებელი აქტებით**, რომლებიც სისტემატურად იცვლებოდა და... იმათაც ნახეს გამოსავალი. მაგალითად, რუსეთს მთელი ტვირთი ჩვენი გვერდის ავლით, პირდაპირ ტრაპიზონში შეაქვს. ამით ჩვენ ყველაფერი დავკარგეთ, ტრაპიზონს კი უზარმაზარი შემოსავლები გაუჩნდა. ამის მიზეზი კი, როგორც ადრე ვთქვი, ისევ **ჩვენებურ „ხასიათში"** უნდა ვეძიოთ.

შოთა ნიშნიანიძე: — **ბატონო ასლან, თქვენ ბრძანეთ, რომ ამჟამად მისდევთ აჭარის მეურნეობის დარგობრივ მოწესრიგებას. აქედან გამომდინარე, აჭარის გულშემატკივარ კაცს აუცილებლად დაებადება კითხვა: — თქვენ, როგორც ხელმძღვანელს, მიუხედავად ჩვენებური „ქართული ხასიათისა", როგორ გესახებათ, კიდევ რამდენი წელიწადი იქნება საჭირო იმისათვის, რომ ვიხილოთ ისეთი აჭარა, როგორზეც თქვენ ოცნებობთ?**

— ბიუროკრატიული მექანიზმი, განსაკუთრებით ქართული „სარმა", რომელსაც არაერთი წარმატება მოუტანია ჩვენი სპორტსმენებისათვის მსოფლიო ასპარეზობებზე, ცხოვრებაში თურმე ხელს გვიშლის. ეს რომ არა, ჩვენ შეგვეძლო სულ რაღაც ხუთიოდ წელიწადში არა მარტო აჭარა, მთლიანად საქართველო თვისობრივად და ეკონომიკურად სულ სხვა ქვეყნად გვექცია.

მაგრამ საკმარისია რაიმე საკითხი დააყენო, რომ მის გადაწყვეტას ბედი არ უწერია, რადგან ვიღაცის „რაღაც ინიციატივა" ჩვენთან საქვეყნოდ მიუღებელია. გამოჩნდებიან ხელად პიროვნებები, პიროვნებათა ცალკეული ჯგუფები, რომლებსაც ეს არ სურთ. **არ სურთ, რადგან ამ საქმეში მათი პირადი ინტერესი არ დევს. პირად ინტერესებზე აგებული სახელმწიფო კი ჯერ არავის უნახავს.**

თუ ყოველივე ეს დავძლიეთ, ჩვენ ისეთი შესაძლებლობები გვაქვს, რომ უახლოეს დროში შეიძლება გავხდეთ ისეთი ქვეყანა, რომელიც არა მარტო ფეხზე დადგება, სხვა ქვეყნებსაც კი შეუწყობს ხელს ბევრი პროგრამის განხორციელებაში. შემიძლია ვეპაექრო ყველას, ვინც გადამეტებულად მიიჩნევს ჩემს ამ ნათქვამს.

ჩვენ აჭარაში, ზღვისპირა შელფში გაგვაჩნია ბუნებრივი გაზის უზარმაზარი მარაგი, რომელიც თავისი ხარისხობრივი მაჩვენებლებით ბევრად აღემატება ზღვებსა და ოკეანეებში აღმოჩენილ ასეთ საბადოებს. მას 12 პროცენტი წყალბადის შემცველობა აქვს. ამ პარამეტრებით მას მესამე ადგილი უკავია მსოფლიოში — ასეთია მეცნიერთა აზრი. ჩვენ კი გაზს სხვა ქვეყნებში ვეძებთ... აქვეა დიდი რაოდენობის ნავთობი, ჩვენ კი ამ სიმდიდრის ხალხის სამსახურში ჩაყენების ყოველ ინიციატივას ხელს ვუშლით. უნდა ნახოთ რა ხდება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ინიციატივა ცნობილი გახდა, და როგორღაც განხილვის სტადიამდე მიაღწია, — უნდა ჩავთვალოთ, რომ საქმე დაღუპულია. აი ეს არის ჩვენი მთავარი უბედურება.

რამდენადაც სამწუხარო უნდა იყოს, მინდა ვთქვა: **ცენტრალური ხელისუფლების წინაშე დასმულ საკითხთა უმეტესობა (მცირე გამონაკლისის გარდა) მე ფაქტობრივად გადაწყვეტილი არ მინახავს. თუ რამ გაკეთდა აჭარაში, გაკეთდა ის, რაც არ ითვალისწინებდა მაღალ დონეზე საკითხის გადაწყვეტას.** ავიღოთ თუნდაც ბოლოდროინდელი ამბავი — **ბათუმის თბოელექტროსადგურის** მშენებლობის საკითხი. ამაში 21 მილიონი დოლარის ინვესტიციას დებს უცხოელი პარტნიორი. შეიძლება ვინმესთვის ეს არ არის მისაღები, მაგრამ მაშინ ხომ ალტერნატიული წინადადება უნდა შემოგვთავაზონ, რომ გამოვიდეთ დღეს შექმნილი მძიმე ენერგეტიკული კრიზისიდან. მაგრამ ალტერნატივაც რომ არ ჩანს? ამიტომაც გადავწყვიტეთ, ჩვენ თავად შეგვემუშავებინა რეგიონის ელექტრიფიკაციის პროექტი, რომელიც მოამზადეს ჩვენი რესპუბლიკის ამ დარგის სახელოვანმა მეცნიერებმა.

რუსუდან ლორთქიფანიძე: — **ჩვენმა ეკონომიკურმა სამსახურმა ამ დღეებში საგულდაგულოდ იმუშავა ამ საკითხზე აჭარის მინისტრთა კაბინეტში, ვამზადებთ პრობლემურ პუბლიკაციას, რომელიც ამ დღეებში მომზადებულ მასალებთან ერთად დაიბეჭდება...**

**— ბატონო ასლან, თუ შეიძლება ერთი ყველასთვის საინტერესო შეკითხვა მოგცეთ. ვიცით, რომ ამ საკითხზე, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ჭეშმარიტება კი თქვენს ხელშია. როდის აპირებთ ჩამოსვლას თბილისში?**

— როდესმე თუ დაუსვამთ ასეთივე კითხვა სხვისთვის: — თუ რატომ უჭირს მას ბათუმში ჩამოსვლა? თვით ის ხალხიც კი, რომლებიც ადრე ტანკებით გვადგებოდნენ ხოლმე ჩოლოქთან და ცდილობდნენ ჩვენთანაც ისეთივე ამბების დატრიალებას, როგორიც სხვაგან დაატრიალეს, შემდეგ აჭარაში რომ ჩამოდიოდნენ, ყოველმხრივ იყვნენ დაცული. მე ხშირად მეკითხებიან: — **არ ჩავდივარ თუ ვერ ჩავდივარ იმიტომ, რომ არ ვარ დაცული. ეს ფიზიკური შიშია თუ რაღაც უფრო მეტი, რაც შეიძლება ამას მოჰყვეს?** მე, ალბათ, იძულებული გავხდები, რომ უფრო ვრცლად, ფართოდ და ღიად ვთქვა ამის შესახებ **„საქართველოს რესპუბლიკის"** ფურცლებზე ცალკე ინტერვიუში, თუ გნებავთ, ასეთი სათაურით **„რატომ ვერ ჩამოვედი თბილისში პრეზიდენტის ინაუგურაციაზე"**. ცხადია, იქაც ბოლომდე ვერ გავხსნი ე. წ. „ფრჩხილებს", მაგრამ ვფიქრობ, ის რასაც ვიტყვი, სავსებით საკმარისი იქნება იმათი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ვისაც ასეთი კითხვები არ ასვენებს

**— ჩვენც და ჩვენი მკითხველიც დიდი ინტერესით დაველოდებით ამ ინტერვიუს. დღეს კი, ნება მოგვეცით გკითხოთ: როგორი დამოკიდებულება გაქვთ პრესასთან, როგორ იღებთ კრიტიკას და რაზე გწყდებათ გული?**

— პირადად მე სულ არ მაღიზიანებს ის, რაც იბეჭდება გაზეთებში. ჩემთვის უმთავრესია ის, თუ რომელ გაზეთშია ეს დაბეჭდილი და საიდან იღებს სათავეს კრიტიკა. მაგალითად, თქვენ გაგაღიზიანებთ კრიტიკა კაცისა, რომელსაც ქალაქში სიარულის უფლება კი აქვს, მაგრამ მთლიანობაში არ არის ჯანმრთელი — ავადმყოფია. მე ასეთთა კრიტიკას ოლიმპიური სიმშვიდით ვხვდები, არც ასეთი გაზეთი ხვდება ჩემს მაგიდაზე. მაგრამ ასეთი პრესა მაინც ვრცელდება მოსახლეობაში. სამწუხაროდ, ბევრი ჩვენთაგანის შემეცნება, ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმიდან მოყოლებული, ისეა მოწყობილი, რომ თუ გაზეთში დაიწერა, სინამდვილე გვგონია. ახლა ხომ ისეთი გაზეთებიც გაჩნდნენ, რომლებიც მხოლოდ სკანდალურ, გამოგონილ ამბებზე აგებენ თავიანთ პუბლიკაციებს? მართალია, ეს შემდგომ დადებითი პრესით მეტნაკლებად იხსნება, მაგრამ რაღაც ხინჯს მაინც ტოვებს. მე ასეთ პრესას შევადარებდი ისეთ სასამართლოს, რომელიც მხოლოდ ერთ მხარეს უსმენს და ისე გამოაქვს განაჩენი, მეორე მხარეს, მით უმეტეს ბრალდებულს, საერთოდ არ ალაპარაკებს.

გული კი იმაზე მწყდება, რომ მაინც დარჩება, ალბათ, თუნდაც ერთი კაცი, რომელიც ამ პასკვილებიდან რაღაცას დაიჯერებს. საბოლოოდ ასეთი პრესა მიზანს მაინც ვერ აღწევს, რადგან როგორც ამბობენ, სიმართლე და სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს. ასეთია სიმართლის ძალა!

იცით კიდევ რაზე მწყდება გული? — იმაზე, რომ დღეს საქართველოში უზარმაზარი პრობლემები გვაქვს გადასაწყვეტი... ამ დროს კი არიან ადამიანები, რომლებიც ამ პრობლემებს კიდევ უფრო აღრმავებენ.

რუსლან რუსია: — **ბატონო ასლან, თქვენს ერთ-ერთ ამასწინანდელ ინტერვიუში დააყენეთ საკითხი ჟურნალისტური პასუხისმგებლობის, საერთოდ ჟურნალისტიკაში ე. წ. გრადაციის შესახებ, დღეს ეს ჩვენი საერთო სატკივარია...**

— მოდით, ეს პრობლემა სხვა სიბრტყეში განვიხილოთ. მოგეხსენებათ, არსებობს მსოფლიოში პროფესიული და მოყვარულთა სპორტი. პროფესიულ რინგზე მოყვარულს ცუდი ბოლო და საკაცით გატანა ელის. კალათბურთში კი, ვიდრე გაიძრევი, პროფესიონალები კალათს ამოგივსებენ. ასევე უნდა იყოს ჟურნალისტიკაშიც. პროფესიონალების პრესა მარტო დღევანდელ დღეზე არ უნდა ფიქრობდეს, ხვალინდელი დღის სასიკეთოდაც უნდა იღვწოდეს. რატომ არ ეტყვით თქვენს „ყვითელ კოლეგებს" თუნდაც ერთხელ რატომ არ დაინტერესდნენ, თუნდაც ერთი პრობლემით, რომელიც ჯერაც ვერ გადაწყვეტილა საქართველოში და გადაწყდა აჭარაში. განა ის, რაც თქვენ ამ დღეებში ნახეთ და შეისწავლეთ, არ უნდა აინტერესებდეთ? სწორედ ამიტომაც კარგავს ასეთი პრესა პოზიციებს. **დეზინფორმაციით, გამიზნული პროვოკაციით და სენსაციით მხოლოდ უძალო, არასერიოზული ჟურნალისტი ცდილობს თავის დამკვიდრებასა და პოპულარობის მოპოვებას. ასეთი რამ სერიოზულ პრესაში არ შეიძლება მოხდეს.**

გიორგი ლალიაშვილი: — **კულტურული პოლიტიკა თქვენი ყველაზე დიდი მონაპოვარია. რას გვეტყვით, როგორ გაგრძელდება იგი მომავალში?**

— მე ასე მწამს: ჩვენი საოპერო სპექტაკლი რომ დაბალი დონის გამოვიდეს, კრიტიკის ქარცეცხლს ვერ ავცდებით. ამიტომ ვცდილობთ ყოველი დადგმა იყოს წინგადადგმული ნაბიჯი თავისი დონითა და ხარისხობრივი მაჩვენებლით. როგორც გახსოვთ, „აბესალომისა" და „ლელას" შემდეგ ასეთი იყო „აიდა". ახლა წინ გვაქვს „ოტელო", რომელიც წინანდელზე მაღალი იქნება თავისი პარამეტრებით. ჩვენი შესაძლებლობები ჯერჯერობით არ იძლევა წელიწადში 3-4 სპექტაკლის დადგმის საშუალებას. ჩვენ ამ გზაზე ჯერ პირველ, მაგრამ მეტად საგულისხმო ნაბიჯებს ვდგამთ. გაიხსენეთ, საოპერო ხელოვნების კანონმდებელ ქვეყანაში — იტალიაშიც კი მთელი რიგი საოპერო თეატრები დახურულია. საჭიროა ტრადიცია, სკოლა, ჩვენ არ გვაქვს სათანადო დონის მუსიკალური სასწავლებელი. ხელოვნების აკადემია, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ შევქმენით, ჯერ ფორმირების სტადიაშია. არ გვყავს საორკესტრო დარგის მუსიკოსები, სპეციალისტები... საჭიროა მათი აღზრდა.

როგორც იცით, ბათუმის საოპერო თეატრი მიწვეული იყო იტალიაში ვერდის ფესტივალზე. ჩვენი ხარჯით უნდა გადაგვეყვანა 240 კაცი, გადაგვეტანა დეკორაციები. ცხადია, ჩვენი ბიუჯეტი ვერ გასწვდა ამას, რის გამოც გასტროლები ვერ შედგა.

ახლახან მეზობელმა თურქეთის რესპუბლიკამ საგასტროლოდ მიიწვია ჩვენი საოპერო და დრამატული თეატრების კოლექტივები. ასეთი გასვლა შედგება, რადგან ეს ყველაფერი მინიმალურ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ერთ საინტერესო ამბავსაც გეტყვით. ამერიკელი სპეციალისტი თურმე ერთი თვის მანძილზე ესწრებოდა ჩვენი საოპერო სპექტაკლის რეპეტიციებს. იმდენად დაგვაინტერესა ამ პიროვნებამ, რომ უშიშროების სამსახურმაც კი დაიწყო მუშაობა. აღმოჩნდა, რომ თურმე ეს კაცი სწავლობს თანამეგობრობის ქვეყნებში ხელოვნების განვითარების დონეს... შემდეგ კი მოხდა ის, რომ ამ პიროვნებამ ჩვენი საოპერო თეატრი საგასტროლოდ მიიწვია ამერიკაში, ფლორიდაში. ახლახან განმეორებით მივიღეთ მიწვევა, რომელშიც აღნიშნულია, მთელ ხარჯებს ამერიკის მხარე გაიღებსო.

კიდევ ერთი მიწვევა მივიღეთ. შვეიცარიაში იწვევენ ჩვენს დრამატულ თეატრს, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ საერთოდ არ ჰყავდა მაყურებელი. ახლა სხვა დონეა, რადგან მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ვფიქრობ, წინ კიდევ უფრო ლამაზი პერსპექტივაა. ფაქტი ერთია: როგორც საოპერო თეატრის, ისე დრამატული თეატრის სპექტაკლებზე მაყურებელი არ კლებულობს. ეს უკვე დიდ რამეს ნიშნავს.

## პაუზა სარედაქციო ჩანართისათვის:

**— ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდებოდა, რომ დარბაზის კარი გაიღო და ბატონ ასლან აბაშიძეს მისმა მუშაკებმა „ბედაურების" შესანიშნავი მცირე ზომის სკულპტურა შემოუტანეს. ყველას ერთი ასოციაცია დაგვეუფლა — ბარათაშვილის „მერანი" და გალაკტიონის „ლურჯა ცხენები" დაგვიდგა თვალწინ.**



**— მინდოდა მესარგებლა ბატონ შოთა ნიშნიანიძისა და თქვენი კოლეგის აქ ყოფნით, — გვითხრა ბატონმა ასლანმა, — და გამეგო თქვენი აზრი ამ საოცარი, ენერგიით და დინამიკით სავსე ბედაურთა სკულპტურის შესახებ. გვინდა დავაწესოთ პრიზი, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა ქართული პოეზიის ან პროზის საუკეთესო ქმნილების ავტორს. პრიზი, რომელიც ვერცხლისგან არის დამზადებული, დაიფარება ოქროთი და ჩადგება ჩვენი ლიტერატურის სამსახურში. თქვენ რას იტყოდით?**

**— მართლაც, ღრმებულია თავად სკულპტურაც და იდეაც, რომელსაც სთავაზობთ ქართულ მწერლობას... დიდი მადლობა ამისათვის, — თქვა ბატონმა შოთა ნიშნიანიძემ. ჩვენც ასეთივე გრძნობით შევყურებდით დიდი ექსპრესიითა და დინამიზმით სავსე სივრცეში გაფრენილ ბედაურებს, რომლებიც სულ მალე ქართული პოეზიის „ოსკარად" შეიძლება მოგვევლინონ.**

გია ჟელიძე: **და ბოლოს, ბატონო ასლან, რას ეტყოდით ჩვენს მკითხველებს, რას უსურვებდით?**

— დღეს ბრწყინვალე დღეა ჩემთვის... ასევე იყო წინა დღეებიც, როცა ჩვენთან თქვენი გაზეთის ტრადიციული დღეები მიმდინარეობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ერთად ვართ და ერთად ვაკეთებთ საქვეყნო საქმეს. ბედნიერია კაცი, რომელიც გამოდის სცენაზე ან პრესის ფურცლებზე და მას უსმენენ, მისი ენა ესმით და ესმით იმიტომ, რომ მიზანი ერთი გვაქვს. ჩვენ თანამოაზრენი ვართ იმ უმთავრესში, რასაც ეროვნული ინტერესები ჰქვია. აქ ორი აზრი არ უნდა არსებობდეს, ყველაფერი ამას უნდა ემსახურებოდეს.

მე ასე მწამს: თუ გინდა მიაღწიო სრულყოფას, აუცილებლად უნდა გაითვალისწინო სხვისი აზრი. თუ მას ანგარიშს არ გაუწევ, მაშინ იმას, რასაც შექმნი, სიცოცხლე არ უწერია. ასე რომ, ჩემთვის ობიექტური კრიტიკა დახმარებაა, ხელშეწყობაა. ეს კმაყოფილებაცაა, რადგან ხედავ, რომ აღმოჩნდნენ ადამიანები, ვინც ეს სრულყოფილი ქმნილება შეგაქმნევინა. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ აღარ გვექნებოდა კულტურა, განათლება, ხელოვნება.

კარგად მესმის გასაკეთებელი, გამოსასწორებელი ჩვენც ბევრი გვაქვს, ამიტომ კრიტიკას ნუ მოერიდებით, რადგან დარწმუნებული ვარ, ის საერთო ეროვნულ საქმეს წაადგება. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადაგიხადოთ, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან გულითადად მივესალმო ჩვენს საზოგადოებრიობას და კვლავ გავიმეორო ის სიტყვები, რითაც წინასაარჩევნო დღეებში მივმართე საქართველოს:

**— გწამდეთ: თუ კი სადმე სუფევს სული ქართული, აქ აჭარაში სუფევს, თუკი ვინმე მუხლმოდრეკილი ლოცულობს საქართველოზე — აქ ლოცულობენ. ჩვენ არ ვანგრევთ, არამედ ვაშენებთ, ვალორძინებთ აჭარას, ესე იგი საქართველოს.**

**ჩვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრთა საუბარი ბატონ ასლან აბაშიძესთან ჩაიწერა გია ჟელიძემ.**

## ანონსი

შეხვედრები აჭარის სინამდვილესთან გაგრძელდება გაზეთის მომდევნო ნომრებშიც. შემოგთავაზებთ ჩვენი სარედაქციო კოლეგიის წევრთა მიერ მომზადებულ პრობლემურ პუბლიკაციებს, კრიტიკულ მასალებს, აჭარის ცალკეული დარგების ხელმძღვანელთა გამოსვლებს, ახალ ლექსებს, საინტერესო ამბებს და რეპორტაჟებს.

# საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო შადმან ვალავი

**16 თებერვალს ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველოში სამუშაო ვიზიტად მყოფი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მეთაური — სამხრეთის განყოფილების ხელმძღვანელი შადმან ვალავი. შეხვედრაზე გაიმართა აზრთა გაზიარება ბოლო პერიოდში შემუშავებული კანონპროექტების შესახებ, რომლებიც ამჟამად ფართო განხილვის პროცესშია.**

**როგორც** პრეზიდენტმა აღნიშნა, ახალი წყობის, ახალი სისტემის სამართლებრივ ბაზად უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც აგრეთვე წარედგინა პარლამენტს განსახილველად. დასრულდა მუშაობა და დღეს 16 თებერვალს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს. განსაკუთრებულ ინტერესი და დისკუსიები გამოიწვია კანონპროექტმა „სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ", რაც იმ ფაქტით აიხსნება, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულია მიწასთან.

ბატონმა შადმან ვალავიმ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ქართველი სპეციალისტების ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის შედეგად შემუშავებულია მსოფლიო სტანდარტების დონის კანონპროექტები.

**პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.**

# ხელმოსაწერად მზად არის ოქმი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ

(დასასრული)

როგორც მან თქვა, ეს კავშირი ითვალისწინებს ერთობლივ საგარეო საზღვარს, აგრეთვე ერთობლივ საქმიანობას 6 სფეროში და ხელისუფლების ერთობლივი ორგანოების შექმნის შესაძლებლობას. „ეს იმ დათმობების მაქსიმუმია, რომელსაც შეიძლება ჩვენ დავეთანხმოთ. ჩვენ ავტონომიის დონემდე არ დავიშვებით", — თქვა ვ. არძინბამ.

მან აღნიშნა, რომ აფხაზეთის პარლამენტში ოქმის განხილვა იმის მიუხედავად, რომ იგი შეიცავს ფედერაციის ელემენტებსაც და კონფედერაციის ელემენტებსაც, „მეტად რთული იქნება, თუ გავითვალისწინებთ აფხაზ პარლამენტართა განწყობილებას, რომლებიც თანახმანი არიან მხოლოდ კონფედერაციულ ურთიერთობაზე საქართველოსთან". „ახლა შეთავაზებული ოქმის პროექტი ჩემი პირადი გადაწყვეტილებაა და მზად ვარ ძნელი ახსნა-განმარტებებისათვის აფხაზეთში", — აღნიშნა ვ. არძინბამ.

ოქმის ხელმოწერას უნდა მოჰყვეს შესაბამისი ხელშეკრულებების ხელმოწერა, მიაჩნია აფხაზეთის ლიდერს. მან აგრეთვე განაცხადა, რომ მზად არის შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს „ნეიტრალურ ტერიტორიაზე", რათა განიხილონ „კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი".

განმარტა რა აფხაზთა მხარის ბოლო წინადადება, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა განაცხადა:

**— როგორც აფხაზთა მხარის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტი მოწმობს, სახეზეა არა „კონსტრუქციული" პოზიცია, როგორც ამაში ბატონი არძინბა გვარწმუნებს, არამედ წინათ ჯამართულ მოლაპარაკებებზე მიღწეული მორიგებებისაგან აშკარა დაშორება. თავს ვიკავებ რა კომენტარებისაგან უცნაური სიტყვათშეთანხმების „ფედერაციული კავშირის" გამო, შემიძლია მხოლოდ აღვნიშნო, რომ პროექტის შემდგომ პუნქტებში აღწერილია საკმაოდ უცნაური სახის კონსტრუქცია, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სახელმწიფოს ცნებასთან, რის გამოც აღნიშნული ტერმინი მოკლებულია აზრს.**

**რაც შეეხება ისეთ ცნებებს, როგორიცაა ფედერალიზმი და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა, მათ შესახებ, როგორც დოკუმენტი მოწმობს, ლაპარაკიც კი არ ღირს. ყოველივე ეს ბადებს აზრს, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის გზის ძიების ნაცვლად, აფხაზთა მხარემ მიზნად დაისახა რადაც უნდა დაუჯდეს მიჩქმალოს კონფედერაციის მსგავსის შექმნის წინანდელი იდეა, რომელიც, სხვათა შორის, უკვე დიდი ხანია უარყვეს მოლაპარაკების პროცესის მონაწილეებმა. პროექტში შემოთავაზებული არ არის არც ლტოლვილთა პრობლემის გადაჭრის გზები, არც ვითარების პოლიტიკური მოწესრიგების პერსპექტივები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროექტის ავტორებს სურთ მხოლოდ დაატორპედონ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების 19 იანვრის გადაწყვეტილება, შექმნან იმის შთაბეჭდილება, თითქოს მზად არიან კომპრომისისათვის და ამრიგად გადადონ აღნიშნული გადაწყვეტილების რეალიზაცია. რა თქმა უნდა, საქართველოს მხარე ვერ დაეთანხმება ასეთ მიდგომას.**

# საქართველოს პოზიცია უცვლელია

(დასასრული)

შეეხო რა ქართველ-აფხაზთა მოლაპარაკების პროცესს, ვ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ „ამ ეტაპზე აქ შეინიშნება ერთგვარი წინსვლა".

მან განმარტა, რომ ასეთად მიაჩნია მოსკოვში აფხაზთა ლიდერის ვლადისლავ არძინბას ჩამოსვლის ფაქტი და მისი განცხადება, რომ მზად არის ეძებოს მოწესრიგების გზები. „მნიშვნელოვანია, რომ აფხაზთა მხარემ საუბრის სურვილი მაინც რომ გამოთქვა", — თქვა ელჩმა.

ამავე დროს ვ. ლორთქიფანიძემ ხაზგასმით აღნიშნა: იმის მიუხედავად, რომ აფხაზთა წინადადებებში გაჩნდა სიტყვა „ფედერაცია", „ნათლად მოწმობს ყველა წინანდელი მორიგებისაგან დაშორებას".

როგორც ელჩმა თქვა, სოხუმში, „კვლავაც არსებითად სახელმწიფოს კონფედერაციულ მოწყობას მოითხოვენ". აფხაზეთი მხარს უჭერს თანასწორსუბიექტურობას, ესე იგი კონფედერაციულ მოწყობას, აღნიშნა მან.

ვ. ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ საქართველოს პოზიცია უცვლელია. „თბილისი მზად არის დაეთანხმოს საქართველოს გარდაქმნას უნიტარულიდან ფედერაციულ სახელმწიფოდ და აფხაზეთს მიანიჭოს ყველაზე ფართო უფლებამოსილებანი", — ხაზგასმით აღნიშნა მან.

# პაველ გრაჩოვის აზრით

(დასასრული).

**პაველ გრაჩოვმა აღნიშნა, რომ 15 თებერვალს იწურება აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატი და მის გაგრძელებას იგი „პირადად არ აპირებს". მინისტრს მიაჩნია, რომ ახლანდელ პირობებში, როცა მხარეები ვერ თანხმდებიან ერთმანეთთან ვითარების მოწესრიგების საკითხებზე, აზრი არა აქვს იქ სამშვიდობო ძალების დატოვებას. „არ შეიძლება იქ დიდხანს არსებობდეს ხელისუფლება რუსული ხიშტების დახმარებით", — ხაზგასმით აღნიშნა პაველ გრაჩოვმა.**

**თავდაცვის მინისტრმა, უპასუხა რა იტარ-ტასის კორესპონდენტის კითხვას, განაცხადა, რომ ორშაბათს იგი შეხვდა აფხაზთა ლიდერს ვლადისლავ არძინბას. სამშაბათს პაველ გრაჩოვმა ერთ მაგიდასთან შეკრიბა აფხაზთა ლიდერი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე და საქართველოს ელჩი რუსეთში ვაჟა ლორთქიფანიძე. შეხვედრის დროს განიხილეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პრობლემები.**

**როგორც პაველ გრაჩოვმა თქვა, შეხვედრა რთული იყო, ზოგიერთ საკითხზე კონფლიქტის მონაწილეთა აზრები ერთმანეთს დაემთხვა, მაგრამ ვლადისლავ არძინბა კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ფორმულირებისა „ფედერაციული სახელმწიფო" (საქართველო) და მოითხოვა მისი შეცვლა „ფედერაციული კავშირით".**

**რუსეთის თავდაცვის მინისტრს მიაჩნია, რომ არძინბას წინადადება „ფედერაციული კავშირის" შესახებ ხელს ვერ მისცემს საქართველოს მხარეს, რადგან ეს იმის პირველი ნაბიჯია, რომ აფხაზეთი „გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო". როგორც პაველ გრაჩოვმა თქვა, მოვლენების ასეთი განვითარება არ შეიძლება, საჭიროა შეინარჩუნონ საქართველო როგორც ერთიანი სახელმწიფო.**

# საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადება

**17 თებერვალს 11 საათზე** საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის აწყობს პრესკონფერენციას საქართველოს კანონპროექტის „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" განხილვასთან დაკავშირებით.

პრესკონფერენციაზე მოწვეული არიან საქართველოს იუსტიციის მინისტრი თედო ნინიძე და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი ბაკურ გულუა.

განცხადებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ტელეფონებზე: 99-04-88, 99-08-79, 99-66-07.

## ინფორმაცია

### განთავისუფლდნენ პროკურორები

საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის „თანამდებობიდან" განთავისუფლდნენ ქალაქ ზუგდიდის საარაიონთაშორისო პროკურორი დავით პკადუა და ქალაქ ფოთის პროკურორი ბორის ბარამია.

### ნარკომანიას დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს ცნობით, 13 თებერვალს, ოპერატიული მონაცემების რეალიზაციის შედეგად, ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ქალაქ თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე დააკავეს ავტომანქანა „მოსკვიჩი" — სახელმწიფო ნომერი ო 88-01 ბგ, რომელსაც მართავდა მისი მფლობელი, 1964 წელს დაბადებული გრიგოლ ჯუანშერის ძე ძაგანია (მცხოვრები ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, მე-2 კვარტალი, მე-14 კორპუსი). პირადი ჩხრეკისას მას აღმოაჩნდა 21 გრამი „ოპიუმი". მოკვლევის დროს გ. ძაგანიამ განმარტა, რომ აღნიშნული ნივთიერება 80 ამერიკულ დოლარად შეიძინა ადრე, 252 მუხლის მესამე ნაწილით ნასამართლევ ქეთევან თენგიზის ასულ ჯაშიაშვილისაგან (მცხოვრები ქ. თბილისში, ხევსურების ქუჩა №12). განხორციელებული ღონისძიებების შედეგად დააკავეს ქ. ჯაშიაშვილი, რომელსაც პირადი ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა 7 მილიგრამი „ოპიუმი". დადგენილია ქ. ჯაშიაშვილის მიერ დროებით ნაქირავები კონსპირაციული ბინა ქალაქ თბილისში, ნინო ჩხეიძის ქუჩა № 21-ში, საიდანაც ამოღებული იქნა 26,5 გრამი „ოპიუმი". მან განმარტა, რომ სისტემატურად შემოჰქონდა ნარკოტიკები ქალაქ მოსკოვიდან, აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან და რეალიზაციას ეწეოდა საქართველოში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს ამ ფაქტს.

### ჰუმანური ტვირთი „ააორთქლეს"

ქალაქ ცხინვალში გრძელდება დაპირისპირება ოსურ ადმინისტრაციასა და ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შორის. დაპირისპირების მიზეზია ის, რომ ადმინისტრაციამ მიითვისა მოსახლეობისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრები და დანიური ფირმა „კარიტასის" კუთვნილი ჰუმანური ტვირთი.

ცნობისათვის: ფირმა „კარიტასი" ჰუმანურ ტვირთებს ანაწილებს ამიერკავკასიაში. 1995 წლის 25-26 დეკემბერს ფირმამ ქალაქ ცხინვალში გაგზავნა 206 ტონა ჰუმანური ტვირთი, რომელიც დანიშნულების ადგილზე კი ჩავიდა, მაგრამ შემდეგ ფირმის წარმომადგენლებმა ტვირთს ვერ მიაკვლიეს. 6 თებერვალს, ცხინვალის მოსახლეობამ და ფირმა „კარიტასის" თანამშრომლებმა ადმინისტრაციას, კერძოდ, ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გაბარაევს წაუყენეს ბრალდება ტვირთის მითვისების გამო. ეს უკანასკნელი სრულიად ამაოდ ცდილობს თავისი ცოდვები სხვას გადააბრალოს.

### დაზუსტება

ჩვენი გაზეთის 10 თებერვლის ნომერში ტირაჟის მცირე ნაწილში შეცდომით დაიბეჭდა გაზეთის ნომერი. უნდა იყოს — № 25 (2138).

## საუკუნის მშენებლობა

# სამების ტაძარი—







# მონანიება ცოდვათა ჩვენთა

**ქრისტიანული** სამყარო მალე არსებობის ორი ათას წელს იზეიმებს, ორი ათას წელს მაცხოვრის შობიდან. კაცობრიობის ამ დიდ იუბილეს საკუთარი ისტორიული წარსულით ეგებება საქართველო — ათას ხუთას წელს ითვლის ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და, თითქოს, სიმბოლურია ის ფაქტი, რომ თბილისში წმინდა სამების საკათედრო ტაძრის აშენების ადრევე გაჩენილი იდეის აღსრულება ამ დიად თარიღებს ემთხვევა.

წმინდა სამების საკათედრო ტაძარი ღირსეული მემკვიდრე იქნება სვეტიცხოვლისა და გელათისა, მონანიება ცოდვათა ჩვენთა, ამაღლება რწმენისა ჩვენისა და ღირსეული ფურცელი საქართველოს სისხლით ნაწერი მატიანისა.

ამას წინათ მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე ხშირად უჭირდა. დღემდე კი ღმერთის რწმენამ მოიყვანა. თავადაც, საკუთარ თავზე ბევრჯერ გამოსცადა ღვთის შეწევნა და ქრისტიანობისაკენ მისი მობრუნება შემთხვევით არ მომხდარა. დღესაც, როგორც უნდა უჭირდეს საქართველოს, უფლის იმედით შესცქერის მომავალს და წმინდა სამების საკათედრო ტაძრით უნდა შევეგებოთ მეორე ათასწლეულის დასასრულს.

სწორედ ამ სხდომის ერთგვარი გამოძახილი იყო საპატრიარქოში გამართული შეხვედრა, სადაც იდეის ინიციატორები, შემსრულებლები და ქართული საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები შეიკრიბნენ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, რომელიც შეხვედრას უძღვებოდა, აღნიშნა, რომ უდიდესი საქმე დაიწყო საქართველოში. საუკუნეების მანძილზე ჩვენში არ აშენებულა ისეთი მასშტაბის ტაძარი, როგორიც იქნება წმინდა სამებისა. მან კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას, რომ თავის დროზე საუკეთესო პროექტის გამოსავლენად ჩატარებულ კონკურსში ახალგაზრდა არქიტექტორის არჩილ მინდიაშვილის პროექტმა გაიმარჯვა.

პატრიარქმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ტაძრის ასაგებად განკუთვნილ ადგილზე. ელიას გორაზე, — თქვა მან, — სადაც გაიჭრა საძირკველი წმინდა სამების საკათედრო ტაძრისა, ადრეც ყოფილა ილია წინასწარმეტყველის ეკლესია, ამიტომ სანამ ახალ ტაძარს ავაგებდეთ, იქ ილია წინასწარმეტყველის სახელზე ავაშენებთ ხის მომცრო ეკლესიას, რომელიც სამონასტრო კომპლექსს ორგანულად შეერწყმება.

პატრიარქმა ლოცვითა და მადლობით მოიხსენია საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ (გიორგი) შევარდნაძე, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს ამ დიდებულ წამოწყებას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ როგორც საქართველოს პრეზიდენტის, ისე ეკლესიის ხელმძღვანელთა ერთსულოვანი შეთანხმებით, მშენებლობის ფონდის თავმჯდომარედ დაინიშნა ბატონი ირაკლი ანდრიაძე — ღირსეული პიროვნება, რომლის სახელთან თბილისში ბევრი კარგი საქმე და წამოწყება დაკავშირებული.

ბატონმა ირაკლი ანდრიაძემ მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძესა და კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს დიდი ნდობისათვის, რომლითაც ღვთის მაღალი სახლის მშენებლობის ფონდის თავმჯდომარეობა დაეკისრა. მან აღუთქვა პრეზიდენტსა და კათოლიკოს-პატრიარქს, რომ არაფერს დაიშურებს ამ წმინდა იდეის ღირსეული აღსრულებისათვის; მადლიერებით მოიხსენია მშენებლები (კონცერნი „საქგვირაბმშენი" და მისი პრეზიდენტი, ბატონი ავთანდილ ჩალაძე) და დასძინა, რომ ისინი, ყოველგვარი მატერიალური დაინტერესების გარეშე, ქრისტიანულად იხდიან მამულიშვილურ ვალს.

პროექტის ავტორმა ბატონმა არჩილ მინდიაშვილმა, რომელიც შეკრებილთ პროექტის შექმნისა და დახვეწის ისტორიაზე ესაუბრა, აღნიშნა, რომ პროექტზე მუშაობა კვლავაც გრძელდება.

შეხვედრაზე საგულისხმო მოსაზრებები გამოთქვეს თბილისის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა, არქიტექტურისა და მშენებლობის მინისტრმა მერაბ ჩხენკელმა, არქიტექტორებმა გიგა ბათიაშვილმა და დავით მორბედაძემ, თსუ რექტორმა როინ მეტრეველმა, თბილისის მთავარმა არქიტექტორმა ოთარ არველაძემ, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა რამაზ ხუროძემ, კინორეჟისორმა რევაზ ჩხეიძემ, მხატვარმა თემო გოცაძემ, თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ანზორ ქუთათელაძემ, კონცერნ „საქგვირაბმშენის" პრეზიდენტმა ავთანდილ ჩალაძემ.

• • •

**გუშინ** კიდევ ერთხელ ვესტუმრეთ წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობას. შესვენება მთავრდებოდა, სამუშაო ადგილებისაკენ შესანატრი გულმოდგინებით მიიჩქაროდნენ მუშები. მალე მძიმე სამშენებლო ტექნიკის ხმაურმა გააცოცხლა გარემო. როგორც კონცერნ „საქგვირაბმშენის" სამმართველოს უფროსმა ჯანგულ ჟავლაშვილმა გვითხრა, აქ 21 ნოემბრიდან ყოველდღე ორ ცვლად 130 მუშა მუშაობს, მძიმე სამშენებლო ტექნიკაც საკმარისია, ქვაბულის დამუშავებაც ოპერატიულად შეძლეთ და დამხმარე ნაგებობების მოწყობაცო.

ცოტაც და ბეტონის ჩასასხმელად მზად იქნება ქვაბული. უყურებ და არ გჯერა, რომ ამდენის გაკეთება სულ სამიოდე თვეში მოხერხდა. მუშები ძველბიჭურად აგრძელებენ საქმეს. უჭირთ, როგორ არ უჭირთ — ვერა და ვერ მოწესრიგდა ობიექტის ელექტროენერგიითა და წყლით უზრუნველყოფა, პრობლემები სხვაც ბევრია, მაგრამ იციან, რომ სალმრთო საქმეს აკეთებენ და არ წუწუნებენ. ვუცქერ მათ სახეებს, დაკოჟრილ ხელებს და ვგრძნობ, რომ წმინდა სამების ტაძარი მართლაც ყველასია, ყველა თანაბრად უნდა გავისარჯოთ და ღვთის სახლს ჩვენი წილი აგური მივუმატოთ.

ენძელა მაჭავარიანი.

## „ნატიფი შამათი"

ეს რუბრიკა საკმაო პოპულარობით სარგებლობდა ჭადრაკის მოყვარულთა შორის. მიზეზთა და მიზეზთა გამო, რამდენიმე თვეა, „ნატიფი შამათი" აღარ გამოჩენილა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. დღეიდან იგი კვლავ აღორძინდა და აგრძელებს არსებობას.

რუბრიკას უძღვება საერთაშორისო ოსტატი ველიმირ კალანდაძე.

# საუკუნის შედევრები

**1925 წელს** მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც მსოფლიოს აღიარებული საჭადრაკო კორიფეები — ე. ლასკერი, ხ. კაპაბლანკა, ფ. მარშალი, ე. ბოგოლიუბოვი, ს. ტარტაკოვერი, რ. რეტი მონაწილეობდნენ, დიდი საჭადრაკო სენსაცია მოხდა. სრულიად უცნობმა, ახალგაზრდა მექსიკელმა ოსტატმა კ. ტორემ გამანადგურებელი დამარცხება აგემა გენიალურ ე. ლასკერს. კომბინაციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც მონაწილეებზე, ასევე მრავალრიცხოვან ჭადრაკის მოყვარულებზეც. შემდგომში ამ პარტიამ მსოფლიო საჭადრაკო პრესა შემოიარა და შევიდა საჭადრაკო ხელოვნების ოქროს ფონდში. ჩვენი გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ ამ პარტიას:

**კ. ტორე — ე. ლასკერი**

**1925 წ.**

1. d4 მf6 2. მf3 e6 3. კg5 c5 4. e3 cd 5. ed კe7 6. მbd2 d6 7. c3 მbd7 8. კd3 b6 9. მc4 კb7 10. ლe2 ლc7 11. 0-0 0-0 12. ეfe1 ეfe8 13. ეad1 მf8 14. კc1 მd5 15. მg5 b5 16. მa3 b4 17. cb მ:b4 18. ლh5 კ:g5 19. კ:g5 მ:d3 20. ე:d3 ლa5! 21. b4! ლf5 22. ეg3 h6 23. მc4 ლd5? 24. მe3 ლb5 25. კf6!! (იხ. დიაგრამა 1), ლ:h5 26. ე:g7 მფh8 27. ე:f7 მფg8 28. ეg7+ მფh8 29. ე:b7 მფg8 30. ეg7+ მფh8 31. ეg5+ და თეთრებმა მალე მოიგეს.

კომბინაციამ მიიღო „საჭადრაკო წისქვილის" სახელწოდება. შემდგომში აღნიშნული მოტივი მრავალმა მოჭადრაკემ გამოიყენა თავის პრაქტიკაში. კომბინაციის საფუძვლად უდევს მექანიზმი, სადაც ჩასაფრებული ფიგურა სისტემატური ქიშების საშუალებით ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს შავებს.

სხვადასხვა იდეის გატარების დროს ამ მექანიზმს ხშირად მიმართავენ საჭადრაკო ეტიუდისტები და პრობლემისტები. დღეს მკითხველს ამოსახსნელად ვთავაზობთ მონღოლი ეტიუდისტის ს. ჩემენძერენის ეტიუდს (იხ. დიაგრამა № 2), სადაც ზემოხსენებული მექანიზმის წყალობით კუ და ეტლი წარმატებით იბრძვიან მრისხანე ლაზიერის წინააღმდეგ. თეთრები პარტიას თავის სასარგებლოდ ამთავრებენ. შეეცადეთ, ამოხსნათ ეს კლასიკური ნაწარმოები. იგი უთუოდ დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას მოგანიჭებთ.



კ. ტორე — ე. ლასკერი, 1927 წ.



ს. ჩემენძერენი. 1979 წ.
თეთრები იგებენ

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1996 წლის 17 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:**

| | | |
|---|---|---|
| ავსტრალიური დოლარი | 0,9488 | ლარი |
| ავსტრიული შილინგი | 0,1219 | ლარი |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 1,9336 | ლარი |
| 10 ბელგიური ფრანკი | 0,4167 | ლარი |
| გერმანული მარკა | 0,8571 | ლარი |
| ჰოლანდიური გულდენი | 0,7654 | ლარი |
| დანიური კრონი | 0,2215 | ლარი |
| 1000 იტალიური ლირა | 0,7909 | ლარი |
| კანადური დოლარი | 0,9111 | ლარი |
| ნორვეგიული კრონი | 0,1960 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1,2560 | ლარი |
| ფინური მარკა | 0,2740 | ლარი |
| ფრანგული ფრანკი | 0,2486 | ლარი |
| შვედური კრონი | 0,1808 | ლარი |
| შვეიცარული ფრანკი | 1,0516 | ლარი |
| 10 იაპონური იენი | 0,1188 | ლარი |
| ეკიუ | 1,5700 | ლარი |
| 10 ესპანური პესეტა | 0,1016 | ლარი |
| 100 ბერძნული დრაჰმა | 0,5178 | ლარი |
| ირლანდიური გირვანქა | 1,9870 | ლარი |
| 10 ისლანდიური კრონი | 0,1896 | ლარი |
| ქუვეიტური დინარი | 4,2068 | ლარი |
| 1000 ლიბანური გირვანქა | 0,7908 | ლარი |
| 100 პორტუგალიური ესკუდო | 0,8239 | ლარი |
| სინგაპურული დოლარი | 0,8889 | ლარი |
| 10 000 თურქული ლირა | 0,1958 | ლარი |
| ეგვიპტური გირვანქა | 0,3698 | ლარი |
| 1000 რუსული რუბლი | 0,2200 | ლარი |
| ლიტვური ლიტი | 0,2618 | ლარი |
| ლატვიური ლატი | 1,9357 | ლარი |
| 10 ესტონური კრონი | 0,8938 | ლარი |
| 100 000 უკრაინული კარბოვანეცი | 0,5579 | ლარი |
| 10 ყაზახური ტენგე | 0,1601 | ლარი |
| მოლდოვური ლეი | 0,2811 | ლარი |
| ყირგიზული სომი | 0,0939 | ლარი |
| 10 000 ბელორუსული მანეთი | 0,8626 | ლარი |
| 10 უზბეკური სუმი | 0,2869 | ლარი |
| 1000 აზერბაიჯანული მანათი | 0,2832 | ლარი |
| 100 სომხური დრამი | 0,2607 | ლარი |

საქართველოს ეროვნული ბანკი.

## ამინდი

### 17 თებერვალს

**დასავლეთ საქართველოში** მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, წვიმა, მაღალმთიან რაიონებში თოვლი, იქროლებს წამში ზოგან 10-15 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით +3+8, დღისით +8+13, მთაში — ღამით +1+6, დღისით +3+8, მაღალმთიან რაიონებში — ღამით —1—6, დღისით 0+5 გრადუსი.

**აღმოსავლეთ საქართველოში** იქნება ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით —2+3, დღისით +5+10, მთაში — ღამით —2—7, დღისით +2+7, მაღალმთიან რაიონებში — ღამით —6—11, დღისით —3+2 გრადუსი.

**თბილისში** მშრალი ამინდია მოსალოდნელი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით —1+1, დღისით +8+10 გრადუსი.


**ტექსტილის ექსპორტის კომპანია ამერიკიდან ეძებს:**

1. ოფისის მენეჯერის მოადგილეს, კვალიფიკაცია: სრულყოფილი ინგლისურის ცოდნა (წერა და ლაპარაკი);
გამოცდილება: კომპიუტერთან მუშაობის (word, Excel),
გამოცდილება: ოფისში მუშაობის.
2. სამკერვალო წარმოების ტექნოლოგი. მუშაობის გამოცდილება: წამყვან თანამდებობაზე დიდ სამკერვალო ქარხნებში.
წარმოადგინეთ ავტობიოგრაფია ინგლისურ ენაზე: მისამართი: შპს ფირმა „კოლხეთი" (სამკერვალო ფაბრიკა), თბილისი, ზენერალ მაზნიაშვილის 87 (ყოფილი ხუთწლედის ქუჩა), ფირმა „Tredia Corp". სამკერვალო ფაბრიკის ადმინისტრაციულ კორპუსში, ტელ: 86-21-21.


## ხსოვნა

### დავით ცინცაძე



ქართულმა იურიდიულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის კათედრის გამგის მოადგილე, პროფესორი დავით ევგენის ძე ცინცაძე.

დაიბადა 1927 წლის 5 ნოემბერს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემოფარცხმაში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებშივე იგი გამოირჩეოდა ნიჭითა და პასუხისმგებლობის უნარით, ამიტომაც, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დატოვეს სამოქალაქო სამართლის კათედრაზე უფროს ლაბორანტად.

1961 წლიდან მუშაობს თსუ მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის კათედრის ასისტენტად. 1968 წლიდან არის მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის კათედრის დოცენტი, ბოლო 1989 წლიდან მუშაობს ამავე კათედრის პროფესორის თანამდებობაზე. ბატონი დავითი კითხულობდა ლექციების კურსს საპროკურორო ზედამხედველობაში, სისხლის სამართლის პროცესში, სამართალდამცავ ორგანოებში, გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი (მონოგრაფია, ბროშურა, სტატიები).

დავით ცინცაძე მრავალი წლის მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

1982 წელს იგი აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულად. ამ სფეროში კეთილსინდისიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. ბოლო პერიოდში გახლდათ უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო მეთოდური საბჭოს წევრი, თსუ სტუდენტთა სამართლებრივი აღზრდის კომისიის თავმჯდომარე.

დავით ცინცაძეს ახალგაზრდა იურისტთა არაერთი თაობა აღუზრდია. იგი მათ პროფესიასთან ერთად გულისხმიერებას, სიკეთესა და პატიოსნებას ასწავლიდა. ამიტომაც, უყვარდათ გამორჩევით, ამიტომაც ემახსოვრებათ დიდხანს.

სიკვდილით არ მთავრდება ყველაფერი. დავით ცინცაძის სახელი და სული უკვე მარადიულობის საუფლოშია, მისი ხსოვნა მარად დარჩება მეგობრების, კოლეგების, აღზრდილების გულში.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

### შალვა ნარსია



გარდაიცვალა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ვეტერანი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საპატიო თანამშრომელი, გადამდგარი პოლკოვნიკი შალვა ივანეს ძე ნარსია.

დაიბადა ქ. თბილისში, 1918 წლის 18 ივნისს, დაამთავრა თბილისის 23-ე სრული საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტში. 1943 წლიდან შალვა ნარსია ემსახურებოდა სახელმწიფო უშიშროებას, სადაც მან გაიარა რთული შემოქმედებითი გზა და წლების მანძილზე უძღვებოდა საკადრო სამსახურის დიდ შრომატევად საქმიანობას. 1980 წლიდან შალვა ნარსია ასაკის გამო გავიდა პენსიაზე.

ბატონი შალვა დაამახსოვრდა მის მეგობრებს და თანამშრომლებს, როგორც პრინციპული, მაღალი ზნეობის და მორალის პიროვნება, თავისი საქმის ერთგული და ადამიანებთან ურთიერთობებში თავმდაბალი და კეთილის მოსურნე, ოჯახის ერთგული და ნათესავებისათვის საყვარელი ადამიანი.

კიდევ ერთი ვეტერანი გამოაკლდა სახელმწიფო უშიშროების ვეტერანთა კოჰორტას. მან დატოვა ნათელი მისი კოლეგების, მეგობრების გულში.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო; სახელმწიფო უშიშროების ვეტერანთა საბჭო.

### გიორგი ლეჟანიძე



გარდაიცვალა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ღვაწლმოსილი მუშაკი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი, გადამდგარი მაიორი გიორგი იასონის ძე ლეჟანიძე.

დაიბადა ქ. თბილისში, 1922 წელს, სწავლობდა თბილისის რკინიგზის პირველ საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა მოსკოვის საკავშირო ოპერატიულ სკოლაში და დაუსწრებლად იღებდა უმაღლეს იურიდიულ განათლებას.

წლების მანძილზე ბატონი გიორგი ემსახურებოდა სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს და განვლო გზა რიგითი ოპერატიული თანამშრომლიდან რაიონული უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკამდე, იყო ხაშურის, თელავის, ახმეტის რაიონებში. 1961 წლიდან პენსიაში გასვლამდე მუშაობდა უშიშროების ორგანოს ცენტრალურ აპარატში. პენსიაზე გასვლის შემდეგ იმყოფებოდა ხელმძღვანელ სამუშაოებზე სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებში.

ვინც იცნობდა ბატონ გიორგის, იგი დაამახსოვრდათ, როგორც მეგობრის მოყვარული და პატივისმცემელი, კეთილისმოსურნე და გულისხმიერი, ოჯახის ერთგული და ნათესავების, კოლეგების მიმართ გულისხმიერი მოქალაქე.

ნათელში იყოს შენი ხსოვნა ბატონო გიორგი.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო; უშიშროების ვეტერანთა საბჭო.

მეუღლე ნინა, შვილი ზურაბი, შვილიშვილები ეკა, მაკა, რძალი ნარგიზა იოსელიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ბესარიონ (ჟაბა) ვლადიმერის ძე იოსელიანი**
პანაშვიდი 18, 19 II, 3 სთ., დაკრძალვა 20 II, 2 სთ., ბახტრიონის ქ. № 22, V სადარბაზო.


**ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო**

ეძებს ორსართულიან სახლს ეზოთი, ორი დამოუკიდებელი შესასვლელით (ორი ოჯახისათვის). სარდაფით და სათავსოებით. წინადადებებით მოგვმართეთ შემდეგ ტელეფონებზე: 98-99-67 ან 98-99-68, შიდა 155.

**იყიდება**

ისნის რაიონში, ქ. ჩოლოყაშვილის (ყოფილი 5 დეკემბრის) ქუჩაზე, № 52-ში, კაპიტალური, არასტანდარტული სახლის მეხუთე სართულზე, მაღალჭერიანი (3,4 მ.), სამოთახიანი ბინა ლოჯიითა და ორი აივნით, მუხაში შესრულებული, კაპიტალური რემონტით (საჭიროებს მხოლოდ შპალერის შეცვლას), ტელეფონით, გარაჟით, მცირე დანაშენებით 40 კვ. მეტრამდე დამატებითი ფართის მიშენების პერსპექტივით.
ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 38-34-14.

ვიწვევთ ასოციაცია „კეთარზისში" (სათნოების სახლში) გამოცდილ პარიკმახერს, ჩვენი მოწყობილობებით, ჩვენს ფართობზე თავისი კლიენტურით. ცნობებისათვის დარეკეთ: 95-85-15.



მორიგე რედაქტორი ხვარამზე ქობულ[...]
მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი
გამომცემელი — შპს „პრესა"
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ი. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 68484. ტელ.: 99-78-34.